საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ფაქიზებით და ჭირვებით ბუტთის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 7-8 დეკემბერი. 2020 წ. №172-173 (9098-9099) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ეროვნული ფაფაჭაჭა:

ოპოზიციას ვინ მისცა იმის უფლება, რომ ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობს?! ამომრჩეველთა უმრავლესობამ ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“ – საქართველოს გადარჩენისა და წარმატებისთვის! ხალხის ნდობას გაფრთხილება უნდა!

ლია ელიავა: ჩინოვნიკს არ გააჩნია იმდენი ცოდნა, მართოს ქვეყნის ეკონომიკა, ამ საქმეში მეცნიერები უნდა ჩაერთონ!

4

ვინ და როგორ შექმნა ახალი კორონავირუსის პირველი ვაქცინა?!

5

ეს ჩინეთმა ქნა!

ჩინეთმა პასუხი უნდა აგოს იმაზე, რაც ჩვენ ყველას დაგვმართა!!!

იაპონელი მეცნიერის სკანდალური განცხადება

იაპონელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი მზად არის დათმოს ნობელის პრემია, თუ არ დადასტურდება, რომ ვირუსი კოვიდ 19 ხელოვნურია და იგი ჩინეთის ლაბორატორიაში შეიქმნა. იგი 4 წელი უხანის ლაბორატორიაში მუშაობდა და ეჭვობს, რომ იქაური პროფესორები ცოცხლები არ არიან.

სრულად გთავაზობთ ინტერნეტში გავრცელებულ ინფორმაციას.

დოქტორი **ტასუკუ ჰონძო**, ფიზიოლოგიის და მედიცინის პროფესორი: „**კორონავირუსი ხელოვნურად არის შექმნილი, ეს რომ ასე არ იყოს, მხოლოდ იმ ქვეყნებს დაარტყამდა, სადაც კლიმატი და ტემპერატურა ჩინეთის მსგავსია, სინამდვილეში კი გავრცელდა შვეიცარიაშიც და უდაბნოს მქონე რეგიონებშიც. ბუნებრივი რომ იყოს, ცივი კლიმატის მქონე ქვეყნებში გავრცელდებოდა, ხოლო ცხელში მოკვდებოდა. 40 წელია ცხოველებს და ვირუსებს ვიკვლევ, 4 წელი უხანის ლაბორატორიაში ვმუშაობდი, მთელ მის პერსონალს ვიცნობ. ავარიის შემდეგ მათი ტელეფონები „მკვდარია“. უკვე 3 თვე გავიდა. ახლა გასაგებია, რომ ისინი აღარ არიან ცოცხლები. და ეს ჩინეთმა ქნა. იმ შემთხვევაში, თუ რასაც ვამბობ ტყუილი გამოდგა, ახლა ან ჩემი სიკვდილის შემდეგ, მთავრობას შეუძლია ნობელის პრემია ჩამომართვას. ჩინეთი ტყუის და ამას ერთ მშვენიერ დღეს ყველა გაიგებს, ყველამ უნდა იცოდეს ეს. ჩინეთმა პასუხი უნდა აგოს იმაზე, რაც ჩვენ ყველას დაგვმართა!!!.**

P.S. „ტასუკუ ჰონძომ 2018 წელს მიიღო ნობელის პრემია. მან T ლიმფოციტების დამბლოკავი მექანიზმი აღმოაჩინა, რომლის მოშორება ნიშნავს იმას, რომ ადამიანის ორგანიზმი კიბოს დამარცხებას შესძლებს“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

MEGATV.GE

ინგა გრიგოლიას ნიანგის ცრემლები

ინგა გრიგოლია ვინც არის, საქართველოში ყველა ტელემაყურებელმა იცის. და არა მარტო ტელემაყურებელმა! ხან რომელ არხზეა, ხან რომელზე. ხან პოლიტიკაშია, ხან ჟურნალისტობას იჩემებს. ბოლო დროს ანალიტიკოსიც გახდა. „რეაქციას“ უძღვება, ეს აშკარად რეაქციონერი...

სწორედ ამაზე გწერთ ორიოდე სიტყვას აღშფოთებული. აღშფოთებული კი რატომ ვარ? მოგახსენებთ. თავისი ბოლო „რეაქცია“ ამ რეაქციონერმა თითქმის მთლიანად ცხონებულ კობა დავითაშვილს მიუძღვნა. იტირა, ივაგლახა, იღვარღვარა, იმდუღრა, საყვარელი მეგობარი დავკარგეო, ჩვენ ერთი თაობისანი ვიყავითო, ერთად მოვედით — ის პოლიტიკაში, მე ჟურნალისტიკაშიო.

ერთი სიტყვით, ივიშვიშა, მაგრამ რა ივიშვიშა! მაგრამ ერთი სიტყვა რა არის, ერთი სიტყვაც არ დასცდენია, ვინ მიიყვანა სიკვდილის პირამდე ეს მართლაც დიდებული ახალგაზრდა კაცი, ნამდვილი მამულიშვილი, ხუთი ბიჭის მამა! საშინელი სანახავი იყო იმ დღეს, და რასაკვირველია, არა მარტო იმ დღეს, ეს პირწავარდნილი რეაქციონერი, რომელმაც ნიანგის ცრემლების ტბა დააყენა არანაკლებ რეაქციონერი „ტვ პირველის“ სტუდიაში.

ქეთევან უნგიაძე,
ქუთაისიდან.

P.S.

რომელი ქვეყანა რამდენ ვაქცინას მიიღებს?!

5

საქართველოს ნატოში გაწევრება შეიძლება მოხდეს საკმაოდ მოულოდნელად და სწრაფადაც კი!..

3

რუსეთი აგრძელებს პროვოკაციებს საქართველოს წინააღმდეგ!

მაშინ, როცა ჩვენ საქართველოში ვებრძვით ვირუსის გავრცელებას, საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას გამუდმებით ხელყოფს გაეროს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრი სახელმწიფო, – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე განაცხადა.

„რუსეთის ფედერაცია ახორციელებს ჩვენი სუვერენული რეგიონების: აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის უკანონო ოკუპაციას, ხოლო კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა დღესაც იმყოფება სავალალო მდგომარეობაში უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული თვალსაზრისით. რუსეთი გამუდმებით არღვევს ევროკავშირის შუამდგომლობით 2008 წლის აგვისტოში მიღწეულ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. რუსეთის ფედერაცია, უგულებელყოფს რა მთელ მსოფლიოში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის მოწოდებას, აგრძელებს პროვოკაციებს საქართველოს წინააღმდეგ, მათ შორის კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ საქართველოს ეფექტიანი რეაგირების უმნიშვნელოვანესი რგოლის – რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ მედია პროპაგანდას. ამასთან, საოკუპაციო რეჟიმები კიდევ უფრო ზღუდავენ სამედიცინო დახმარებას ადგილზე ეთნიკური ნიშნით, რის გამოც იღუპებიან ადამიანები, უბრალოდ იმიტომ, რომ მათ არ შეუძლიათ საოკუპაციო ხაზის გადმოლახვა და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღება. ამჟამად საქართველო უკვე მუშაობს კორონავირუსის შემდგომ პერიოდში ეკონომიკის აღდგენის სტრატეგიაზე, რაშიც ჩვენ გვაქვს საერთაშორისო მეგობრებისა და პარტნიორების მხარდაჭერისა და რესურსების მობილიზების იმედი. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საერთაშორისო დახმარებით ჩვენ შევძლებთ ეკონომიკის მტკიცე, გრძელვადიან აღდგენას და საქართველოს ახალი პოზიციის უზრუნველყოფას ახალ გლობალურ წესრიგში“, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

მიხეილ ჯიბუტი: როგორც მზის ამოსვლა და გათენება, ანუ „დაუბალანსირებლობა“

სიტყვა „ბალანსი“, „ბალანსირება“, განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით, ქართულში ფრანგული ენიდანაა შემოსული და გაწონასწორებას ნიშნავს. მნიშვნელობა აქვს. ჯამბაზი თოკზე წონასწორობას რომ ჭოკით იცავს, იმას **„ბალანსირი“** ეწოდება. აღნიშნული მნიშვნელობით ამ სიტყვის გამოყენება დღეს მინელებულია. ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად უფრო იტყვიან **„გაწონასწორებული“-„გაუწონასწორებელი“,** ვიდრე, **„დაბალანსებულ-დაუბალანსებელი“.**

ეკონომიკაში საქმე პირიქითაა: ფინანსები, ბუღალტერია, აღებ-მიცემობა ბალანსზეა ორიენტირებული და სულ მის გამოყენებაშია. თუმცა, საპარლამენტო არჩევნების პროცესში „ბალანსი“ მთავარი სიტყვა გამხდარიყოს, ასეთი მხოლოდ საქართველოში მოხდა...

3 დეკემბერს გამოცხადდა საპარლამენტო არჩევნების შედეგები... (http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/142733/1-14376_auditi).

ვინც საპარლამენტო მანდატი მოიპოვა, ვუერთდები პერსონალურ სიხარულში, რომლის უკან რამდენ რამეზე წასვლა, რამდენი ფული, რამდენი ვალდებულება, რამდენი იმედია, ვინ მოთვლის? იმათგან, ვინც ვერ მოხვდა „გამარჯვებულებში“ და გული სწყდებათ, რომ თავიანთი იდეების განხორციელებას ვერ მოახერხებენ – გაძლიერებას და პრინციპებისადმი ერთგულებას ვუსურვებ. იდეა – უკვდავია! ხოლო, ვინც დიდი ფული დახარჯა და „საპარლამენტო დოღის ცხენმა“ არ გაუმართლა, მეცოდება, მაგრამ არ ვუთანაგრძნობ – ახია მათზე! მადლობელი იყვნენ გამჩენის, რომ პარლამენტის წევრად არ გახადა და იქ მოხვედრილი მისნაირებისადმი გაგზავნილი წყევლა-გინებისგან გადაარჩინა!

არჩევნების შედეგების **„ბალანსის“** ამბავი **„ბავშვმაც კი იცის“** საქართველოში თავისი კულმინაციური 120, 130, თუ 160%-იანი შედეგებით.

ჯერ არ დამთავრებულა იმის გარკვევა, გაყალბდა, თუ არა არჩევნები!

მე ვამტკიცებ, რომ არჩევნების ჩასატარებელი ბაზა საქართველოში – კანონმდებლობა, ამომრჩეველთა სიები – გამორიცხავს არაფალსიფიცირებული არჩევნების ჩატარებას, რამეთუ, მათი დამოკიდებულება არჩევნების შედეგებისადმი მიზეზ-შედეგობრივია ისე, როგორც მზის ამოსვლა და გათენება!

ამის შესახებ, მე ჩემი პოზიცია მრავალგზის გამოვხატე (მაგ., იხ. საქართველოში არჩევნების გაყალბება კანონიერი და სავალდებულოა. (http://iverioni.com.ge/16827-mikheil-jibuti-saqarthveloshi-archevnebis-gayalbeba-kanonieri-da-savaldebuloa.html).

საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩემი აზრის სისწორე და რაც მთავარია, **„ბალანსის“** მეშვეობით!

ცესკოს მონაცემებით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო – 3 511 853.

ხმის უფლება საქართველოში, კონსტიტუციის მიხედვით, 18 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქეებს გააჩნიათ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, 2020 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობდა – 3 761 900 ადამიანი.

მოსახლეობის მთლიან რაოდენობას თუ გამოვაკლებთ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, დაგვრჩება 18 წლამდე ასაკის პირთა რაოდენობა:

3 761 900 – 3 511 853=250 317

ე.ი. საქართველოში 18 წლამდე 250 317 პირია საარჩევნო სიების მონაცემების გამოყენების შემთხვევაში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით კი – 2020 წლის 1 იანვრისთვის საქართველოში 18 წლამდე იყო 880 375 სული! (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba).

250 317 არ უდრის – 880 375!

სხვაობა არის – 630 058!

ანუ, არჩევნებში – 630 058 „არარსებული ამომრჩეველი“ მონაწილეობს!

სანამ ეს ასეა, ფაქტია დაუბალანსება თუ დაუბალანსირებლობა ჭირს საქართველოს არჩევნებს...

„ივერიონი“

მთელი მსოფლიო არ გაქოცებულა!

ოპოზიციავ! თავი დაანებეთ დემაგოგიას!

...ცოტა ვრცლად დავწერ, რატომ მეპარება ეჭვი, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, ანუ გაყალბდა ისე, რომ შედეგზე გავლენა იქონია, თორემ დარღვევები ყველა არჩევნებზე არის და ეს რომ გამოსასწორებელია, ამაზე არავინ დავობს.

არ არსებობს არჩევნების არც ერთი ობიექტური დამკვირვებელი, რომელიც ამბობს თუნდაც იმას, რომ არჩევნები არ შეესაბამებოდა სტანდარტებს და დარღვევებს შეიძლებოდა გავლენა ჰქონოდა შედეგზე. უფრო პირიქით ამბობენ. არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, ინსტიტუტი და ა.შ. არც ერთი ჩვენი მეგობარი არ საუბრობს ხელახალი არჩევნების აუცილებლობაზე. ის ხალხიც კი არ საუბრობს, ვინც პროპორციული სისტემის ჩაგდების მერე, „ოცნებას“ და ივანიშვილს ლამის დედას აგინებდა და სამართლიანად აკრიტიკებდა, წერილს წერილზე წერდა. ის კი არა, ანდრიუს კუბილიუსიც კი არ საუბრობს ამაზე, რომელიც სულ ოცნების კრიტიკაშია, ხოლმე. არგუმენტი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ყველა ქვეყანაში ხუჭავენ გაყალბებაზე თვალს, არის დემაგოგია. აგერ გვაქვს ბელარუსის მაგალითი, სადაც მთელი დასავლეთი ერთმნიშვნელოვნად ეუბნება ლუკაშენკოს, რომ უნდა ჩაატაროს ახალი არჩევნები. რაღა შორს მივდივართ, ორი წლის წინ იყო საპრეზიდენტო არჩევნები ჩვენთან და ეუთომ პირდაპირ დაწერა დასკვნაში, რომ არჩევნები იყო თავისუფალი, მაგრამ არასამართლიანიო. თუნდაც ასეთი შეფასების დაწერას რა უშლის?

მაშინ რა ვუყოთ დაუბალანსებელ ოქმებს? ცესკოს პასუხია, რომ ეს არის შეცდომები, რომელიც ყველა არჩევნებზე იყო და რომელიც შესწორების ოქმებით გასწორდა. შეიძლება ეს სიმართლე იყოს?

ოპოზიციას ყავდა უბნებზე 11 200 -ზე მეტი კომისიის წევრი. თუ ოქმები გადაიწერა და ბიულეტენები ჩაიყარა, ამდენი ადამიანიდან რატომ არავინ გააპროტესტა იმ ღამეს? განსხვავებული აზრი მაინც რატომ არავინ დაწერა ოქმის შედგენისას? დააშინესო. ამდენი ადამიანი როგორ დააშინეს? ან კარგი, რეგიონებში დაშინეს, და თბილისში რამდენი უბანია? ყველა უბანზე ოპოზიციის სამი წევრი იყო. ასე ბნელა საქართველოში, რომ თბილისშიც ყველა შეაშინეს?

მაპატიეთ, მაგრამ ამის არ მჯერა.

პარალელური დათვლის შედეგი და ერთ-ერთი ოპოზიციური არხის „ფორმულას“ ეგზიტპოლი ძალიან ახლოსაა ცეკსოს მონაცემებთან (სხვაობა 2 პროცენტია). ორი დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა, რომ ასე ემთხვევა ოფიციაურ მონაცემებს, ეს ნიშნავს, რომ ან ცესკოს საბოლოო შედეგი რეალობასთან ძალიან ახლოსაა, ან „სამართლიანმა არჩევნებმაც“ და „ფორმულამაც“ საკუთარი კვლევა გააყალბეს. სხვა ვარიანტი აქ არ არსებობს. 8 პროცენტ ოქმებში დისბალანსი და შესაძლო 4.1-პროცენტიანი ცდომილება, რაზეც „სამართლიანი არჩევნების“ დირექტორმა ისაუბრა, პარალელური დათვლის შედეგებს არ ცვლის. ეს სპეციალურად გავარკვიე ამ ორგანიზაციასთან. თქვენც შეგიძლიათ კითხოთ.

იმ უბნებზე, რომელიც გახსნეს და გადათვალეს (მათ შორის არასამთავრობოების მოთხოვნით) ოქმებში შეცდომები აღმოჩნდა, როგორც ოპოზიციის კანდიდატების საზიანოდ, ისე ხელისუფლების კანდიდატების! რა, საკუთარ თავს უყალბებდნენ?

ასევე შეცდომებზე და არა გაყალბებებზე მიუთითებს მეორე ტური, სადაც ხელისუფლებას ოპონენტი აღარ ყავდა, მაგრამ ოქმებში დისბალანსი და შეცდომები ისევ აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში ვის გაუყალბეს? ოპოზიცია ამბობს, ცოტა ხალხი მოვიდა და ამიტომ ჩაყარესო. ჰო, მაგრამ ჩვენ ვნახეთ მეორე ტურის ოქმები, სადაც სახელისუფლებო კანდიდატის ხმები ოპოზიციის კანდიდატის გრაფაში ეწერა. ოპოზიციის სასარგებლოდ გააყალბეს? და კიდევ როდესაც აშკარა სიყალბე ჩაიდინეს (აი 1 რომ 4-ად გადააკეთეს), ეს ვერ დაიმალა და გაუქმდა კიდეც.

დაბოლოს: ყველაზე კარგი საშუალება, გაგვეგო სიმართლე, იყო გადათვლა, მაგრამ ეს თავისით არ გააკეთა ხელისუფლებამ (რაც შეცდომა მგონია) და ამაზე არ დათანხმდა ოპოზიციაც. გასაგებია, რომ ხელისუფლება ცუდად მოიქცა, როცა თავისი ინიციატივით არ გადათვალა, მაგრამ როცა ოპოზიციას ამაზე პოლიტიკური შეთანხმება და ერთად გადათვლა შესთავაზეს, ოპოზიცია რატომ არ დათანხმდა? ოპოზიცია ამბობს, „ოცნება“ იტყუება, მოლაპარაკებებზე ეს არ შემოუთავაზებიათო. დავუშვათ, იტყუება „ოცნება“, მაგრამ პრესკონფერენციაზე ხომ გააკეთა კალაძემ ოფიციალური განცხადება, ამას ვთავაზობდითო? გამოსულიყო ოპოზიცია და ეთქვა: იტყუება კალაძე, ასეთი არაფერი შემოუთავაზებიათ, მაგრამ რადგან საჯაროდ ამბობენ, მზად ვართ გადათვლისთვისო, კი ბატონო, ჩვენც საჯაროდ ვეუბნებით თანხმობასო. რას იზამდა „ოცნება“? უკან წაიღებდა საჯარო განცხადებას? მაგრამ ეს არ გაეკეთეს, რაც მაფიქრებინებს, რომ ოპოზიციასაც არ აწყობდა გადათვლა.

დასკვნა: ოქმებში ცდომილებამ შედეგები თუ შეცვალა, მაქსიმუმ ის ორი პროცენტი, რა განსხვავებაც პარალელურ დათვლას, ეგზიტპოლსა და ცესკოს მონაცემებს შორის დადასტურდა და ამის აღმოფხვრა სწორედ გადათვლით შეიძლებოდა, რაც, როგორც აღმოჩნდა, არც ერთ მხარეს არ აწყობდა!

ზუსტად ვიცი, რომ ჩემნაირად ბევრი პოლიტიკურად არაანგაჟირებული ადამიანი ფიქრობს, მაგრამ იმის შიშით, ქოცის იარლიყი არ მომაწებონ და არ დამაბულინგონო, ამას ხმამაღლა არ ამბობს. მე შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ თუ რამის მჯერა, ან პირიქით არ მჯერა, ვიღაცის შიშით პირში წყალს ვერ ჩავიგუბებ. როცა ხელისუფლება ამაზრზენად მოიქცა და პროპორციული არჩევნები ჩააგდო, მაშინ მათთვის კრიტიკა არ დამიკლია და სხვათა შორის, ასევე არ დაუკლია კრიტიკა დასავლეთს. ახლა არც დასავლეთს სჯერა ამ გაყალბების და მთელი მსოფლიო როგორ გაქოცდა?

მერაბ მეტრეველი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲢᲝᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ!..

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲜᲐᲢᲝ-ᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲬᲕᲘᲝᲗ“, – ᲔᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲨᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲛᲔᲚᲔᲗᲝ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲛᲐ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲛᲐ ᲑᲔᲜ ᲰᲝᲯᲔᲡᲛᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ. ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ,

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ. ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ: ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲗ.

ᲘᲡᲘᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ, ᲛᲐᲠᲗ-ᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲪᲘᲠᲔᲐ. ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲙᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲓᲔᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲝᲠᲡ ᲐᲠᲘᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲬᲠᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲐᲛᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲜᲐᲢᲝ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲙᲔᲢᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ **ᲘᲔᲜᲡ ᲡᲢᲝᲚᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ** ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘᲐ.

– ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲛᲒᲕᲘᲗᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲛᲝᲕᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲜᲐ�გᲠᲫᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲣᲒᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲡ. ᲘᲒᲘ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐᲡ ᲧᲘᲠᲘᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲐᲗᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ. ᲜᲐᲢᲝ ᲐᲛᲐᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ �გᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲗᲐᲖᲔ, ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲔᲑᲨᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲐ ᲨᲔᲐᲥᲕᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲡᲘᲔᲑᲨᲘ.

ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲙᲚᲐᲕ ᲒᲐᲜᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ. ᲛᲔ ᲛᲝᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲜᲐᲢᲝ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲙᲔᲢᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲖᲔ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲗᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲐᲚᲝ�გᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ, – ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲡᲢᲝᲚᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲛᲐ.

* * *

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲜᲐᲦᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ 1990-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ. ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲧᲝᲗ.

– ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ. ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲛᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲒᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲐᲓᲠᲔ ᲘᲧᲝ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ.

ᲘᲮ. 11 ᲒᲕ.



ᲙᲝᲥᲢᲔᲘᲚᲘ
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ ᲛᲐᲒᲗᲘᲡᲒᲐᲜ

ᲛᲐᲒᲗᲘ, ᲦᲝᲒᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲓᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲡ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲔᲜᲡ.

ᲛᲐᲒᲗᲘ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ. ᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘᲡ: ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘ, ᲛᲝᲙᲚᲔ ᲢᲔᲥᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲪᲘᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲔᲑᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲘᲐ ᲛᲐᲒᲗᲘᲡ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲐᲙᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ.

ᲙᲝᲥᲢᲔᲘᲚᲘ - ᲐᲡᲔ ᲰᲥᲕᲘᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲪ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲖᲔ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲐᲜᲘᲨᲜᲔᲑᲡ.
ᲛᲐᲒᲗᲘᲡ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲐᲞᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ MyMagti ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ, ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲡ „ᲛᲖᲐ“ ᲙᲝᲥᲢᲔᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ, ᲐᲜ ᲩᲐᲔᲠᲗᲝᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ. ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲣᲙᲔᲗ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲛᲔᲒᲐᲑᲐᲘᲢᲡ, ᲬᲣᲗᲡ ᲗᲣ SMS-Ს ᲛᲝᲘᲮᲛᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲨᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡᲐ ᲗᲣ ᲗᲕᲔᲨᲘ, ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲔᲡ.

ᲨᲔᲜ ᲣᲙᲔᲗ ᲘᲪᲘ, ᲠᲐ ᲒᲡᲣᲠᲡ - ᲐᲛ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲓᲐᲐᲠᲥᲕᲐᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲗᲘᲡ ᲐᲞᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝᲡ.

„ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲣᲩᲜᲓᲔᲑᲐᲗ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ. ᲐᲡᲐᲙᲘ, ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘᲪ ᲙᲘ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲔᲡᲐᲓᲐᲒᲔᲑᲝᲓᲔᲡ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘᲐ ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ“, - ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲨᲘ.

ᲛᲐᲒᲗᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲡ ᲥᲛᲜᲘ ᲨᲔᲜ!

ჩვენს ხალხს პატიების დიდი უნარი გააჩნია!

კორონავირუსი ქვეყნის ეკონომიკას გადაეჯაჭვა და ამის გამო 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაც გაიწირა. რისი გამოსწორება შეიძლება მეორე „ლოკდაუნის“ მოხსნის შემდეგ, ამის შესახებ საბანკო სფეროს ექსპერტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლია ელიავა გვესაუბრება.

ლია ელიავა: ჩინოვნიკს არ გააჩნია იმდენი ცოდნა, მართოს ქვეყნის ეკონომიკა, ამ საქმეში მეცნიერები უნდა ჩაერთონ!

სწორედ მეცნიერთა რეკომენდაციების საფუძველზე უნდა გაატაროს მთავრობამ სწორი, მიზანდასახული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყანას ჭაობიდან ამოიყვანს. ვიმეორებ, ეს შეიძლება სწრაფად გაკეთდეს, რადგან ქვეყნის ეკონომიკა ძალიან პატარაა და მისი მოვლა ძალიან ადვილია, თუკი იცი, რა უნდა გააკეთო.

— რა შედეგს მოიტანს მეორე შეზღუდვა და ხომ არ ფიქრობთ, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა დაუცველი იქნება მანამ, სანამ ვირუსი არ დაგვანებებს თავს?

— არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყნისთვის კოვიდ-19-ის გავრცელებამ სერიოზული ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია. ეკონომიკური ვარდნა განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენისთანა დაბალგანვითარებული ქვეყნებისთვის, სადაც ისედაც არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა იყო. საგულისხმოა ის გარემოება, რომ უკვე მთავრობამაც აღიარა და ეს აღიარება ძალიან დიდი მიღწევაა, რომ ქვეყანაში არის მძიმე ეკონომიკური კრიზისი. თუ თვალებში არ ჩავხედეთ ფაქტებს, მათ ვერ გავუმკლავდებით. ჯერჯერობით მთავრობას არ გააჩნია არანაირი გეგმა იმისთვის, როგორ შეძლებს ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის ამოყვანას. ყველა ის ზომა, რომელიც მიღებულ იქნა როგორც გაზაფხულზე, ასევე, დღეს პანდემიის შესაჩერებლად, ნაკარნახევია საზღვარგარეთიდან. მანამ, სანამ ქვეყანაში ვირუსის გამო ასეთი მძიმე სიტუაცია იქნება, უკეთესი შედეგის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. საქართველოში ეს განპირობებულია მხოლოდ ერთი ფაქტორით, რომ ქვეყნის მთავრობა ვერ ერევა გაზრდილი პაციენტების მოვლას. ერთი მხრივ, პრობლემები გააჩნიათ სამედიცინო მომსახურების სფეროსთან, მეორე მხრივ, ეს პრობლემები იწვევს ეკონომიკური პრობლემების გაჩენას. დღეს რაც ხდება, ეს ყველაფერი ქვეყნის მთავრობის წინდაუხედაობის შედეგია.

— მედიკოსები ამბობენ, რომ შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, ისევ კორონა დაგვხვდება, მაგრამ აღარც ჯანდაცვა გვექნება, აღარც ეკონომიკა. რა პერსპექტივა გველის სამომავლოდ?

— რა თქმა უნდა, მძიმე პერიოდი გაივლის. თუ ამ მძიმე პერიოდს არ გადაყვა ჩვენი მოსახლეობის ხანშიშესული კატეგორია და ასეთია მთელი მოსახლეობის დაახლოებით 25%, ჩვენ ამ სიტუაციიდან ნაკლები დანაკარგით გამოვალთ. ის ციფრები, რომლებსაც ახლა სტატისტიკის სამსახური დაითვლის და შემზარავი იქნება, სინამდვილეში, არც ისე კატასტროფულია ჩვენი ეკონომიკის გადმოსახედიდან, რადგან ჩვენი ეკონომიკა ყოველთვის სუსტი და არაეფექტური იყო. შესაბამისად, ჩვენში არსებული პრობლემების დაძლევა შესაძლებელია, თანაც სწრაფად არის ეს შესაძლებელი და ამის ერთადერთი რეცეპტია მთავრობის მიერ იმის შეგნება, რომ ჩინოვნიკს არ გააჩნია იმდენი ცოდნა, მართოს ქვეყნის ეკონომიკა და აუცილებელია ეკონომიკური სფეროს მეცნიერთა, სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთა მოზიდვა, მათგან სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც ანაზღაურებადი იქნება, ანუ მეცნიერებს ექნებათ სტიმული, რომ იმუშაონ. სწორედ მეცნიერთა რეკომენდაციების საფუძველზე უნდა გაატაროს მთავრობამ სწორი, მიზანდასახული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყანას ჭაობიდან ამოიყვანს. ვიმეორებ, ეს შეიძლება სწრაფად გაკეთდეს, რადგან ქვეყნის ეკონომიკა ძალიან პატარაა და მისი მოვლა ძალიან ადვილია, თუკი იცი, რა უნდა გააკეთო.

— წინა შეზღუდვებმა, პირველ რიგში, საშუალო და მცირე ბიზნესს დაარტყა. ახლა რომ გამოვალთ მეორე „ლოკდაუნიდან“, უპირველესად, რას უნდა მიხედონ?

— როდესაც შემოგაქვს შეზღუდვები, აუცილებლად უნდა გქონდეს გააზრებული, რა მოჰყვება ამ შეზღუდვებს. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია საერთო მოხმარების ვარდნა. ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეული შემოსავლის მქონე ადამიანები ამცირებენ მოხმარებას და, ვისაც შემოსავალი არა აქვს, ისედაც ნულზე რჩება. ანუ, როდესაც მოხმარება მცირდება ქვეყნის ეკონომიკაში, ამისთვის საგანგებო ზომებია გასატარებელი და, პირველ რიგში, ეს უნდა გაატაროს ფინანსური სფეროს მარეგულირებელმა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა. ეროვნულმა ბანკმა უნდა დასწიოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, ახლანდელი 8%-იანი მძიმე განაკვეთი უნდა შეამციროს 3%-მდე მაინც. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ეროვნულმა ბანკმა ხელი შეუწყოს კომერციულ ბანკებს, იმუშაონ დაბალ საპროცენტო განაკვეთზე, ეს არის აუცილებელი პირობა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის. მესამე და მნიშვნელოვანი, აუცილებლად შესაცვლელია საგადასახადო პოლიტიკა, შემსუბუქება უნდა მიეცეს არა მარტო მეწარმე პირებს, როგორც ეს წინა წლებში მოხდა, არამედ ფიზიკურ პირებსაც კი. ისეთი დრაკონული საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ახლა გააჩნია ფიზიკურ პირებს, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის! ჩვენთან მხოლოდ ფულს იხდი და არავითარი შეღავათი არ გაგაჩნია გადასახადების თვალსაზრისით, არადა, სხვა ქვეყნებში შეღავათების რაოდენობა ძალიან დიდია.

— პრემიერ გიორგი გახარიას თქმით, მთავრობა შეზღუდვების „ფასს“ აკონტროლებს, კრიტიკულ ციფრებზე საუბარი არ არის და ეს იქნება 0,7-0,8%, თუმცა ეკონომისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩვენი ეკონომიკა 6-7%-ით იმაზე მეტად შემცირდება, ვიდრე მოსალოდნელი იყო. როგორი იქნება ეკონომიკის ვარდნა?

— ვარდნა იქნება უფრო მეტი, ჩემი ვარაუდით, არანაკლებ 10%-ისა, მაგრამ გააჩნია, რა ციფრებს დახატავს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მათი ციფრების ნდობა ბოლომდე არ შეიძლება ისევე, როგორც ის ხატავს ინფლაციის მაჩვენებელს, რომელიც რეალობაში ბევრად უფრო მაღალია და ჩვენ ამას ვგრძნობთ ფასებით. შესაბამისად, დიდი ვარდნის პირობებში ყოველთვის შესაძლებელია, მოხდეს საქართველოში არსებული ყველა რესურსის მობილიზება იმისთვის, რომ დაიქოქოს ეკონომიკა. ამ პროცესს მარტო მთავრობა ვერ მოერევა. ჩინოვნიკს არა აქვს იმდენი ცოდნა, ეფექტურად მართოს ეკონომიკა, რომელიც კრიზისში იმყოფება. როდესაც ეკონომიკა სტაბილურად ფუნქციონირებს, მისი მართვა არ არის პრობლემა. კრიზისიდან გამოყვანაა პრობლემა. ჩემს მიერ ჩამოთვლილი ღონისძიებები ეს არის დიდ ღონისძიებათა კომპლექსის პატარა ნაწილი. ამითაც კი შეიძლებოდა ზაფხულის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის წინ წაწევა. მაშინ ასეთ მძიმე მდგომარეობაში არ ვიქნებოდით, რომელიც დღეს გაგვაჩნია. ეს „ლოკდაუნიც“ იძულებითი ფორმაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობა უბრალოდ ამოწყდებოდა. ჩვენი სამედიცინო სფერო ვერ ერევა ამოდენა მოსახლეობის მკურნალობას. გარდა ამისა, ეს ფსიქოლოგიური მომენტიცაა, როდესაც მოსახლეობა ხედავს, რომ მთავრობას არ აინტერესებს მისი ჯანმრთელობა, არ ზრუნავს მასზე, იმატებს სოციალური დაძაბულობის ტემპერატურა და უკვე მეორე არჩევნებს კი აღარ მოითხოვს ხალხი, არამედ მოითხოვს პირდაპირ მთავრობის გადადგომას.

— არ ფიქრობთ, რომ ორი თვის განმავლობაში სახლში ჩაკეტვისა და უმუშევრობის გამო შეიძლება უფრო მეტი აგრესია წამოვიდეს მოსახლეობისგან?

— საქართველოს მოსახლეობა ძალზე სპეციფიკური და ძალიან ბევრის ამტანია, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მაგრამ ყველაფერს გაჩნია თავისი ზღვარი. ჩვენს მოსახლეობას პატიების უდიდესი უნარი გააჩნია და თავის ცუდ მდგომარეობას, პირველ რიგში, აბრალებს საკუთარ თავს და არა ჩამოყალიბებულ სისტემას.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

იანვრიდან ვინ რამდენ პენსიას მიიღებს?!

საქართველოში პენსია ყოველწლიურად გაიზრდება. **„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების პროექტის თანახმად, პენსიის ოდენობა ყოველწლიურად განისაზღვრება პარლამენტში წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის წარდგენისას.** მიუხედავად ამ მიმართულებით ბოლო დროს განხორციელებული დადებითი ცვლილებებისა, საქართველოში პენსიის დონე რეგიონში მაინც ყველაზე დაბალია.

„მომავალი წლის ბიუჯეტში განსაზღვრულია პენსიის ზრდა, რომელიც ყოველწლიურად კანონმდებლობით არის გამყარებული და შესაბამისად, ჩვენს პენსიონერებს აღარ დასჭირდებათ არჩევნებიდან არჩევნებამდე პენსიის ზრდის ლოდინი“, — განაცხადა მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ.

პენსია ყოველწლიურად შემდეგი მეთოდით მოიმატებს:

70 წლამდე ასაკის პენსიონერებისათვის — ბოლო 12 თვის ინფლაციის მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულის — არანაკლებ 20 ლარის ოდენობით;

70 წლის და მეტი ასაკის — ჯამით, რომელიც უდრის ბოლო 12 თვის ინფლაციის მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულს დამატებული ბოლო 6 კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულის 80 პროცენტი — არანაკლებ 25 ლარის ოდენობით.

ინფლაცია და მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელი კი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად განისაზღვრება.

პენსიის ინდექსირებით, მთავრობა დარწმუნებულია, რომ ფასების ზრდა პენსიონრებს ვეღარ დააზარალებს.

საშუალო პენსიის დონე საქართველოში, საშუალო ხელფასის 17-18%-ის დონეზეა, რითაც რეგიონში ბოლო პოზიციაზე ვართ. მცირედით გვისწრებს სომხეთი, სადაც ეს მაჩვენებელი 22%-ს შეადგენს, აზერბაიჯანში — 32%-ია, ხოლო რუსეთის ფედერაციაში 33-34%-ის ფარგლებში მერყეობს.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, სტატისტიკოს სოსო არჩვაძის თქმით, მდგომარეობის გამოსწორების იმედს იძლევა მთავრობის გადაწყვეტილება პენსიების ყოველწლიურ ზრდასთან დაკავშირებით, რაც სერიოზული და არსებითი გარდატეხაა საპენსიო უზრუნველყოფის საქმეში.

„ე.წ. ჩანაცვლების კოეფიციენტი, რომელიც ნიშნავს საშუალო პენსიის თანაფარდობას საშუალო ხელფასთან, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო და ჩამორჩებოდა ჩვენს მეზობელ ქვეყნებს. როგორც წესი, მიჩნეულია, რომ 40%-ზე ნაკლები, განვითარებადი ქვეყნების მაჩვენებელია, ბოლო დრომდე პენსია საქართველოში 17-18%-ის დონეზე იყო და ახლა არის საშუალება, თანდათან დავძლიოთ ეს ჩამორჩენა.

ევროპის განვითარებული ქვეყნების პენსიონერთა კონტიგენტს თუ გავითვალისწინებთ, მათ აქვთ დაგროვილი რესურსი იმისთვის, რომ პენსიაში გასვლის შემდეგ თავიანთი გემოვნების შესაბამისად მოიხმარონ დაგროვილი თანხა და თავისუფალი დრო. პენსიაში გასვლის შემდეგ ისინი ცხოვრობენ იმაზე მეტხანს, ვიდრე ვთქვათ, ბარათაშვილმა იცოცხლა, ასეთი შედარება თუ შეიძლება. ჩვენც უნდა შევძლოთ, რომ სიბერეს ჰქონდეს ღირსეული ფორმა და იგი მონეტარული ფორმითაც პოულობდეს გამოხატულებას“, — განაცხადა სოსო არჩვაძემ.

პირველი იანვრიდან საქართველოში ასაკით პენსიონერების პენსია 20-25 ლარით გაიზრდება. შესაბამისად, 70 წლამდე ასაკის პენსიონერი მიიღებს 240 ლარს, ხოლო 70 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერი — 275 ლარს.

რაც შეეხება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პენსიონერებს, საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ მათთვის ითვალისწინებს სახელმწიფო პენსიის ოდენობის არანაკლებ 20 პროცენტის დანამატს. შესაბამისად, 2021 წლის იანვრიდან მაღალმთიან დასახლებაში 70 წლამდე პენსიონერი მიიღებს 288 ლარს, ხოლო 70 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერი — 330 ლარს. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შესაბამისი თანხა გათვალისწინებულია.

ეკა ბაძრაძე

ᲪᲝᲤᲐᲪ ᲒᲐᲣᲫᲔᲚᲘᲗ!

ᲕᲘᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ?!

ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ — BNTI62b2, რომელიც ამერიკული ფარმაცევტული გიგანტის — Pfizer-ისა და გერმანული ბიოტექნოლოგიური სტარტაპის — BioNTech-ის ერთობლივი ნამუშევარია, გახდა ახალი კორონავირუსის საწინააღმდეგო პირველი ვაქცინა, რომლის ეფექტურობაც კლინიკური კვლევებით დადასტურდა. ეს იყო სამეცნიერო წარმატების განსაცვიფრებელი ისტორია, თუმცა Pfizer-მა თავის თავზე მხოლოდ კვლევითი და ბიუროკრატიული პროცედურები აიღო, ვაქცინის შექმნა კი სრულად იყო გერმანული სტარტაპის დამსახურება, რომელსაც თურქული წარმოშობის ცოლ-ქმარი ხელმძღვანელობს. ვინ არიან უგურ შაჰინი და ოზლემ ტიურეჩი, რომლებმაც მსოფლიოს უპრეცედენტოდ სწრაფად SARS-CoV19-ის საწინააღმდეგო იარაღი აჩუქეს და რომლითაც გერმანული პრესა „გერმანული ბიოტექნოლოგიური Google“-ის დამფუძნებლების ბედს უკვე წინასწარმეტყველებს.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲮᲓᲐ?

29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, თეთრ პერანგში გამოწყობილმა კაცმა ინტერვიუ მისცა გერმანიის რეგიონული მედიაკომპანია VRM-bc YouTube არხს და საკმაოდ დაბალი ტონალობით მოსაუბრე რესპონდენტი მაინცელი გამოცდილი ჟურნალისტების ფონზე გარკვეულწილად დაიკარგა. ის ახალი კორონავირუსის ვაქცინის შესახებ დეტალურად, თუმცა ერთგვარი ყოყმანით პასუხობდა არც თუ ისე მოტივირებული წამყვანების შეკითხვებს. რესპონდენტმა განაცხადა, რომ შეიქმნა ვაქცინა კომპანიაში, რომელიც მან მეუღლესთან ერთად დააარსა. რამდენჯერმე დაიჩივლა კიდეც, რომ კლინიკური ცდების მესამე ეტაპის შუალედური შედეგები დაგვიანებულია, ამიტომაც ვაქცინის ეფექტიანობაზე საუბარი ჯერჯერობით შეუძლებელია და შესაძლოა, მას სულაც არ ჰქონდეს შედეგი. რესპონდენტმა ემოციები მხოლოდ მაშინ გამოამჟღავნა „როდესაც პასუხობდა კითხვას, მომავალი ვაქცინა მხოლოდ მდიდარ ქვეყნებს შეხვდებოდა თუ არა. **„ამ განცხადებას მე ვერ დავეთანხმები!“,** — თქვა მან.

ამ თეთრპერანგიან კაცს უგურ შაჰინი ჰქვია და ის მაინც საუნივერსიტეტო კლინიკის ექსპერიმენტული ონკოლოგიის პროფესორია. მაინცში არის რეგისტრირებული კომპანიაა, BioNTech-იც, რომელიც მან მეუღლესთან — ოზლემ ტიურეჩთან ერთად 2008 წელს დააარსა. ეს სწორედ ის კომპანიაა, რომელმაც შექმნა პირველი ვაქცინა და მისი ეფექტურობა კლინიკური კვლევებით დადასტურდა. BioNTech-ის გარდა, გერმანია ვაქცინის მარათონში CureVac-ით (ტუბინგენი) არის წარმოდგენილი, თუმცა ის ჯერ კიდევ გამოცდის II ფაზაშია. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ საკუთარ ძალებსა და გერმანიის ხელისუფლების მსუყე გრანტს ეყრდნობა, BioNTech-მა ჯერ კიდევ გაზაფხულზე ამერიკულ ფარმაცევტულ გიგანტ Pfizer-თან დაიწყო თანამშრომლობა, რომლითაც პასუხისმგებლობები მკაფიოდ განაწილდა. ვაქცინის შექმნაზე პასუხისმგებლობა სრულად გერმანულმა კომპანიამ აიღო, კლინიკური ცდები და ბიუროკრატიული ინსტანციების გავლა აშშ-სა და ევროკავშირში კი ამერიკელებმა ითავეს.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ იმ ინტერვიუდან, რომელშიც შაჰინი გულგრილ პროვინციელ ჟურნალისტებს განუმარტავდა, თუ რა იყო მისი ვაქცინის მუშაობის პრინციპი, Pfizer-მა და BioNTech-მა კვლევების მესამე ფაზის წინასწარი შედეგების შესახებ განაცხადეს. თავმდაბალი და მოკრძალებული გერმანელი მეცნიერი ვაქცინის მარათონში მოულოდნელად პირველი ნომერი გახდა. აღმოჩნდა, რომ პრეპარატი სახელად BNT152b-90%-ით ეფექტურია. ოდნავ მოგვიანებით, როდესაც ანალიზში უფრო მეტი პაციენტი ჩაერთო, Pfizer/BioNTech-მა ეს მაჩვენებელი 95%-მდე გაზარდა.

ამ სიახლემ არა მხოლოდ მსოფლიო საფონდო ბირჟები ააფორიაქა, არამედ მეხის გავარდნასავით იყო სასიხარულო ამბებს მოკლებულ გერმანულ მედიასაშუალებებში. აღმოჩნდა, რომ გერმანელი „მსოფლიოს მხსნელი“ იყო „გასთარბაითერის ვაჟი“ **(Gastarbeiter — პირდ. თარგმანი — სტუმარი მუშა, იგივე მიგრანტი მუშა)**, რომელიც კიოლნის Ford-ის ქარხანაში მუშაობდა, დედა კი გერმანიაში გადასახლებული თურქი ექიმის შვილი იყო. ახალი გერმანული საზოგადოების შესაძლებლობების დემონსტრირებისთვის და ანტიმიგრაციული რიტორიკის საწინააღმდეგოდ უკეთესი ფიგურის მოფიქრება უბრალოდ შეუძლებელი იყო.

ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲩᲐᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ცოლ-ქმარი ნოემბრის თავბრუდამხვევ ამბებამდეც კი გერმანიის ყველაზე მდიდარი ადამიანების ასეულში შედიოდა. ისინი წლების განმავლობაში გერმანულ პრესაში საკუთარი თურქული წარმოშობის შთამბეჭდავი ეგზოტიკური დეტალებით გალამაზებას სულაც არ ცდილობდნენ. ისეთი სათაურების მიღმა, როგორიცაა „გასთარბაითერის შვილობიდან მსოფლიოს მხსნელამდე“, გაზეთებს ვიკიპედიის მწირი ბიოგრაფიული მონაცემების გამოყენება მოუწიათ.

შაჰინისა და ტიურეჩის ბიოგრაფია პოზიციების, პასუხისმგებლობების, კვლევითი ცენტრების, პატენტებისა და პუბლიკაციების ჩამონათვალს წარმოადგენს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ვაქცინის არცერთი შემქმნელი ბიოტექნოლოგი არ არის. ისინი ონკოლოგიურ დაავადებებზე სპეციალიზებული ექიმები არიან. თუმცა ამას მათთვის ხელი არ შეუშლია, რომ თავიანთი პირველი სტარტაპი 2001 წელს დაეფუძნებინათ, 2016 წელს კი იაპონური კომპანიისთვის 422 მილიონ ევროდ მიეყიდათ. ერთ-ერთი იმ მცირე „მიგრანტული“ დეტალებიდან, რომელიც პრესისთვის ცნობილი გახდა, არის ის ფაქტი, რომ ცოლ-ქმარმა Pfizer-ისგან მიღებული სასიხარულო ცნობა თურქული ჩაით აღნიშნა.

განსხვავება მოვლენის მასშტაბსა და იმ გარემოს შორის, სადაც ის მიმდინარეობს, ნამდვილად უჩვეულოა. BioNTech-ის შტაბ-ბინა არის ქალაქ მაინცში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფერული რეგიონული დედაქალაქია (რაინლანდ — პფალცის მიწა). ის მდინარე რაინის ნაპირზეა გადაჭიმული და ვენახებით არის გარშემორტყმული. უნივერსიტეტიც კარგია, მაგრამ, მეორეხარისხოვანი, რომელიც გაცილებით დიდი და ბრწყინვალე შესაძლებლობების მქონე მაინის ფრანკფურტიდან ოცდაათი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს.

ამ გარემოცვაში მოკრძალებული მაინცი იკარგება. უგურ შაჰინს საკუთარი მანქანაც კი არ ჰყავს, ის BioNTech-ში სამთო ველოსიპედით მიდის, ოფისში არც მიმღები აქვს და არც — სამდივნო. ამავდროულად, ვაქცინის შექმნის მთელი ისტორია თვალშისაცემი და თავბრუდამხვევია თავისი გაბედულებითა და სისწრაფით, რადგან მარათონის პირველობა, ფაქტობრივად, დღეებზე იყო დამოკიდებული.

ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ?!

ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ საბოლოო შედეგების მოლოდინში კოვიდ-19-ის ვაქცინას ქვეყნები უკვე წინასწარ უკვეთავენ. მოთხოვნა საკმაოდ დიდია. განიხილება ძირითადად სამი: ფაიზერის, ოქსფორდისა და მოდერნას ვაქცინა.

პირველადი კვლევების თანახმად ფაიზერისა და მოდერნას ვაქცინის ეფექტურობა 95%-ს აჭარბებს. 70%-იანი ეფექტიანობით ოქსფორდის ვაქცინა მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. რაიმე მნიშვნელოვანი გვერდითი მოვლენა არც ერთ მათგანს არ გამოუვლინდა.

წინასწარი შეკვეთების რაოდენობამ უკვე 2.8 მლრდ-ს გადააჭარბა. ევროკავშირს 700 მლნ დოზა ვაქცინის მიღება სურს — 300 მლნ ფაიზერის და 400 მლნ ოქსფორდის. 700 მლნ ვაქცინა აქვს შეკვეთილი შეერთებულ შტატებსაც, ინდოეთს — 500 მლნ, იაპონიას — 290 მლნ, ბრიტანეთს - 145 მლნ. ინდონეზიასა და ბრაზილიას — 100-100 მლნ.

ევროკავშირში, შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ბრიტენეთში, კანადასა და ავსტრალიაში შეკვეთილი ვაქცინების რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობას აჭარბებს. სხვა ქვეყნებში ზოგ შემთხვევაში 20%-ს ჩამორჩება.

ვაქცინის გამოშვების შესახებ ყველაზე ადრე, 11 აგვისტოს, რუსეთმა განაცხადა. კრემლის მტკიცებით რუსული Sputnik V-ის ეფექტურობა Pfizer-ისა და Moderna-ს მსგავსად 95%-ს აღწევდა, თუმცა თავად პუტინი მის გაკეთებაზე უარს აცხადებს. კვლევის მესამე ფაზის გაუვლელად, მასობრივი ვაქცინაცია ოქტომბრიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ თარიღმა რამდენჯერმე გადაიწია. ამ ხნის განმავლობაში რუსეთში დღიური ინფიცირების მაჩვენებელი 5000-დან 27 000-მდე გაიზარდა.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით საქართველოს 700 000 დოზა ვაქცინა აქვს შეკვეთილი, რისთვისაც წინასწარ უკვე გადაიხადა 4 მლნ დოლარი და დარჩენილია 13 მლნ დოლარი. 1 ვაქცინის საფასური 24.3 დოლარი გამოდის, რაც PCR ტესტზე დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებია.

შეერთებულ შტატებში, სადაც კოვიდმა ყველაზე მეტი — 273 ათასი ადამიანი იმსხვერპლა, აცხადებენ, რომ მასობრივი ვაქცინაცია 11-12 დეკემბრიდან დაიწყება. ინფორმაცია მედიას აშშ-ის ვაქცინების პროგრამის ხელმძღვანელმა მონსეფ სლაუიმ მიაწოდა. საქართველოში ვაქცინის მიღებას მარტ-აპრილისთვის მოელიან!..

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ის მარტო ჩემი კი არა, მთელი საქართველოს გიორგი ლეონიძეა

პოლემიკა

ტეგდნენ... ერთს გამოაკლეგ, ლექსი წახდეგა, გაუმარჯოს მეგობრობას!..

გარდაცვალეგამდე ცოტა ხნით ადრე ფრიდონ ხალვაშის ვაჟმა ზაზამ, საუკეთესო კინორეჟისორმა და საზოგადო მოღვაწემ, რედაქციას ფრიდონის ერთ-ერთი ბოლო წერილი-მოგონება გამოუგზავნა (**„გოგლას სუფრა“**), რომლის ნაწილიც ბათუმის გამოცემაშიც არის შესული (**„ლექსნი, თქმულნი გიორგი ლეონიძისა“**), გოგლას სრულყოფილი პორტრეტის შესაქმნელად, ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ ფრიდონის თვალით დანახულ გოგლას კიდევ ერთი კუთხიდან შევხედავთ...

თბილისში ჩასულს თუ დამინახავდა, – წერს ფრიდონი, – ბატონი გიორგი ყოველთვის ცდილობდა, თავისი დიდი მასპინძლობა გამოეჩინა.

იმ დღეს შემთხვევით გამოჩნდა. მაჩაბელზე, მწერალთა სახლის შესასვლელთან ვიდექით რამდენიმე კაცი. მოგვესალმა, მე ხელი მომხვია, კიბე რომ აათავა, მწერალთა კავშირის თანამშრომელი ქალები შემოესივნენ. სკამზე ჩამოჯდა, ზემოთ, კავშირის მაშინდელ უფროსებთან აღარ გამოჩნდა. ერთს დაავალა, ადი ზემოთ, სტუმარია, რუსი, „ლიტგაზეტიდან“, ჩამომიყვანეო. ყურში ჩამიბუბუნა, წადი, იმ კუთხეში ჩემი მანქანაა, ჩაჯექი, მალე მოვალო. ბატონო გიორგი, ამ საღამოს მატარებელზე მივდივარ-მეთქი. მატარებელი გირჩევნია ლეონიძესთან ყოფნასო? – წყენით მკითხა.

იმ რუსის გვარი არ მახსოვს, „ლიტგაზეტას“ რედაქტორის ახალდანიშნული მოადგილეაო, გიორგის სიტყვებით გამორჩეულად ნიჭიერი, ქართული მწერლობის კარგი მცოდნე და დამფასებელი. ენა ჩვენი ხომ არ იცის-მეთქი, ვკითხე.

– ჰმ! – გაიკვირვა ბატონმა გიორგიმ, – შენ ნამეტანს ითხოვ ამათგან.

სადღაც ავლაბრის ძველუბანში, რომელიღაც წვრილი, დაკლაკნილი ქუჩით შევედით და (მანქანა არ შეეტია) ნიკა, ნიკაო, თავისი ბუხუნა ხმით მიაძახა გოგლამ. სარკმელში, ლეჩაქიანი ქალის სახემ გაიელვა, მერე კარი გაიღო და გამოჩნდა კარგა ზორბა ტანის კახელი, ნარმის საზაფხულო ფართხუნა შარვალი დაბალყელიან შინნაქსოვ წინდებში ჰქონდა ჩატანებული. ფეხზე აწკენტილი ძველებური წაღები ეცვა, თავზეც, რაღა თქმა უნდა, კახური ქუდი ეხურა. ხშირი, უხეში თმა ქუდიდან ბუჯგებად გამოშვერილიყო. ნიკამ ბრტყელი ქამარი შეისწორა, საიდანღაც შარვლის ღრმა ჯიბიდან გაცვეთილი ვეება კლიტე ამოაძრო, სარდაფში ჩასასვლელის კარი გააღო და ჩაგვიძღვა.

ეტყობოდა, ძალიან გაეხარდა გიორგის მობრძანება. იმხელა კაცი სულ ბავშვივით ფუსფუსებდა, თან – სად გადაიკარგეო, გოგლას საყვედურობდა.

– ჩამაიტანე ეგ ლავაში, ბიჭო! – გასძახა გოგლამ თავის შოფერს. მალე ჭერში გამოჭრილი სარქველი გაიღო. იქიდან ბაწარგამობმული კალათი ჩამოუშვეს. კალათიდან ნელი ოხშივარი ამოდიოდა. ნიკამ ხელი წაატანა კალათს. მოხარშული ნახევარი ინდაური და გუდის ყველი მუხის კასრის მინდორზე დაალაგა. ეგრეთ წოდებული ჩაის გათლილი ჭიქებიც ჩამოარიგა მასპინძელმა და ხელების სრესით გოგლას მიუბრუნდა. ჰკითხა, რომელი გავხსნა, ჩემი თუ შენიო. ჩემს სტუმართან ჩემი მაიტაო, – დაავალა გოგლამ. იქით, კუთხეში, ასე ხუთასლიტრიანი კასრი იდგა. ნიკამ კედლის ლამპა აანთო და იმ კასრის დიდ რუხ მუცელზე ამოტვიფრული ასოები გამოჩნდა – „გოგლასი ვარ“.

ქერა რუსი აღტაცებული აკვირდებოდა ყველაფერს. ჩტო ზა ბოჩკა ტაკაია? – შემეკითხა ჩუმად. – ჩტო ტამ ტაკოე ნაპისანო? როგორ გინდა უთარგმნო ზუსტად „გოგლასი ვარ“? მაინც, იქიდან, აქედან ბევრი ვუტრიალე, მრავალი ჩემთვის ხელმისაწვდომი რუსული სიტყვა მოვსინჯე, მივუყენე, და ბოლოს დაახლოებით რაღაც მიმსგავსებული გამოვუყვანე, ვუთხარი:

– ნაპისანო ტამ ტაკ: „ია (ზნაჩიტ ბოჩკა) პრინადლეჟუ გოგლე“.

– ა, კტო ტაკოი გოგლა? – გამომკრა ხელი სახელოზე.

– გოგლა ეტო სამ გიორგი ნიკოლაევიჩ ლეონიდზე! – განვუმარტე და ქარვისფრად გავსებულ გრაფინს, ქაფის თეთრი ძეწკვი რომ ეხვია თავზე, თვალი დავადევნე. რუსმა სტუმარმა თავისით მიუჩოჩა ჭიქა ნიკას. მერე, ღვინო ჭიქაში რომ ჩაუსხა, არ დაელოდა სადღეგრძელოს. მაშინვე გადაჰკრა, მოწრუპა, ეგემრიელა, ისევ მიიდო ჭიქა და ძირამდე დაცალა. გოგლას არ მოეწონა (სადღეგრძელოს უთქმელად რომ დალია), კახურ ლავაშს ყური მოახია და თამადობასაც შეუდგა.

მე და ნიკას ბოდიში მოგვიხადა, სტუმრის ხათრით რუსულად ვიტყვიო. ბარაქიანი, ღონიერი რუსულით დაახვავა სადღეგრძელოები.

იქ ნათქვამ-გაგონილის აღდგენა მიჭირს, მაგრამ ერთი დაახლოებით ასე იყო.

იმ მუხის ხეს გაუმარჯოს და მისი ფოთლის შრიალს, ჯერ ფიცრად, მერე კასრად რომ იქცა და აგერ ახლა ჩემი ღვინით ავსებული დგას... მეგობრებო ლექსის გნჯარში ჩაწყობილ სიტყვებივით ერთმანეთს აზრს და სილამაზეს უნდა მა-

ბოლო ჭიქა ეს

გაიხსენა წასული პოეტი ძმაკაცები...

პატივით მოიგონა ტიციანი, პაოლო. გაიხსენა, როგორ შემოელახა ერთხელ თბილისის დუქანში მთვრალი ესენინი. როგორ აღიზიანებდა ზოგჯერ მაიაკოვსკი, ფრთხილად, ძუნწად თქვა „დიდ ჯადოქარ გალაკტიონზე“. გრიშაშვილი, სიმონი ახლად დაკრძალულნი იყვნენ. ხელისუფალნი გაამტყუნა მთაწმინდის ხარჯვაში. არ გვაპატიებს ისტორიაო. ბოლოს, მახსოვს, საოცარი სითბოთი რუსულ-ქართულად ილაპარაკა ფიროსმანზე. მას, მგონი, თბილისის ფერვების პოეტი უწოდა. მეც დღეს ფიროსმანს დავეძებ თბილისის გაუქმებულ წაბილწულ სარდაფებშიო. იმ ნათქვამთა გავლენით, ამეკვიატა სიტყვა ფიროსმანი – ფერთმგოსანი... გვიანობამდე დავრჩით ნიკას სარდაფში. დაუვიწყარია ეს ყველაფერი. რაც იყო იმ დღეს, იყო ნამდვილი გოგლა.

* * *

მაგრამ, ახლა მართლაც გოგლას უკანასკნელი სუფრა უნდა გავიხსენო. მძიმე ავადმყოფი პოეტი რიგის ქუჩაზე თავის ბინაში მოვინახულე, მორიდებით დავრეკე, კარი დიასახლისმა გამიღო.

ეფემია გედევანიშვილი, პაოლო იაშვილი, ნინო მაყაშვილი-ტაბიძისა, თამარ იაშვილი და გიორგი ლეონიძე. ბათუმი, 20-იანი წლები.

ჩურჩულით გამაფრთხილა, სძინავსო. მაშინ, აღარ შევაწუხებ-მეთქი, გავიფიქრე. ამ დროს დიდფარდებიანი ბინის ბინდებიდან მისი ნაცნობი ბუბუნა ხმა მომეყურა. ვინ არის, მომიყვანეო. დამინახა, ესიამოვნა, ცალი ხელი დამიქნია, ახლო მოდიო, მოვეხვიე. მომიჯექი, ჩემო ნათლიმამაო. როგორაა ჩემი ნათლული, როგორ გყავს ოჯახი, – მკითხა. ჩემი ხელი თავის ცხელ ხელში ეჭირა კაიხანს. დიდრონი, ძვალმსხვილი, უკვე გაცრეცილი თითები მეფერებოდნენ. მერე სამზარეულოდან რაღაც რაკუნი გაიგონა. გასძახა, მაგიდა არ გინდათ, აქ მოიტანეთ ახლოსო. ხის ძველ ტაბურეტს თეთრი გადააფარეს, ყველი, პური, ინდაურის მოხარშული ფერდი, ერთი ჭიქა და ბოთლი დადგეს. ჭიქა უკანვე გაატანა, უთხრა, ის, ილიას ნაქონი რომაა, მომიტანეთო.

ნიგვზის ხისგან გამოთლილი ფეხიანი სასმელი ბატონმა გიორგიმ ხელში დაიჭირა. მითხრა, ამით ყველას არ ვასმევ ღვინოს, ჯანზე როცა ვიყავი, ამით სადღეგრძელოს თვითონ ავწევდიო. ახლა ვეღარ ვიკარებ, ჰოდა, დაიჭი ახლა, ჩაისხი, ვისაუბროთ, სადღეგრძელოს მე ვიტყვი, შენ დალიე, – მითხრა და შევნიშნე, თვალები ოდნავ შეუწითლდა.

მატარებლის ბილეთი მაშინაც ჯიბეში მედო. ერთ საათში სადგურისკენ უნდა გავმგზარებულიყავი, მაგრამ ამის გამხელა აღარ ღირდა. ეტყობოდა, დიდ პოეტს საუბარი უნდოდა. ძვირფასი იყო ჩემთვის ეს ყველაფერი. ამაზე უარის თქმას როგორ გავბედავდი. ავიღე „ილიას სასმური“, ვაკოცე. მერე ღვინო ჩავასხი, და დაველოდე. პირველი შენია, თავად თქვიო, მითხრა. ბატონი გიორგი დავლოცე. მომავალ ზაფხულს ბათუმში, ჩვენთან ახალი შეხვედრები ვუსურვე. ამას რომ ვამბობდი, თვალები მიხუჭა, სადღაც შორს წავიდა ფიქრებით.

კურთხეული მხარის შვილი ხარო, მითხრა, დიდი ქართული კუთხეა შენი მშობელი მიწაო. ჭირგამოვლილი და უკვდავია ეგ მხარე. იქ ჩემიანებს რომ შევხვდი, გული სხვანაირად ამიძგერდა, ერთხელ კიდევ ვიგრძენიო, – მეც ძველი შავშეთელი ვარ. ჩვენ, ლეონიძენი, ყველანი იქიდან ვართ, ის ჩვენი ალაგები, ჩვენი წინაპრების მიწა-წყალი იქით, გადაღმა დარჩაო. ჩვენი დაკარგული დიდებული ტაძრები და ციხეთა ჩამონაშალი ქვები მეძახიანო. არ იქნა, ვეღარ მოვესწარი, ვერ მოვინახულე იქაურობაო. „...ისე დავბერდი, ვერ ვინახულე ტბეთი, შატბერდი“. – გაიწკრიალა ყურში პოეტის სტრიქონებმა. თქვა წინაპრებისა, თქვა „აჭარელი ძმეგისა“, თქვა დედაენისა, თქვა ოჯახებისა, დამლოცა მე...

ვალი გაწევს საქართველოსიო, მითხრა. სამასი წლის ვალი გაქვს გადასახდელიო. შემომხედა. თითქოს შევებრალე, დასალევზე გეუბნებიო. ღვინო ხომ აგიკრძალეს 300 წლის განმავლობაში, ახლა უნდა ივარგოო. გამიღიმა და თვალი ისევ მილულა.

აჭარა და ის ჩვენი მშობლიური, მაგრამ დაკარგული გადაღმეთი ცრემლია ჩვენი, ტკივილი და მოურჩენელი ჭრილობაააო. ამისი დავიწყება სიტყვის მუშაკისთვის არ იქნება. სიტყვა, თუ იგი სულის ძირებიდან ამოგეზრდება, თავად მოგთხოვს, მაამბობინე ეს დარდებიანი სათქმელი საქართველოსიო.

რადგან ერის ტანჯვიანი სიტყვის სამსახურში ჩაიყენე თავი, უნდა ერისავე სატკივარების სათქმელად და მოსარჩენად ამუშაო ეს სიტყვა. როგორაა? „მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა, ხიხანის ციხედ ვიყავ ქცეული და შენი სიტყვის გადასარჩენად ილეწებოდა ჩემი სხეული“. ...ასეა, არა? აი, ეს შენია. უნდა იგრძნო და იცოდე, რაა შენი სათქმელი და რა არა. არის ისეთი რამეც, შეიძლება ლამაზად გამოთქვა, მაგრამ არავინ დაგიჯეროს. აი, ის კი, შენ როცა თქვი, ყველამ დაგიჯერა, იმიტომ, რომ იგი შენი იყო.

გვყვანან პოეტები ტაშისმხვეტელებიც... პოეტს ერთი ლექსი მაინც უნდა ჰქონდეს, ნამდვილი, საკუთარი, გამორჩეული. სხვა დანარჩენი ეპატიება...

– დაისხი ახლა, ადღეგრძელე ქართული ლექსი, იცი? – ენა ლექსმა შეინახა თქვენში. ხალხური ლექსი ხალხის გულში იფესვებოდა, ყვავილობდა, ლექსში ჩამჯდარი სიტყვა გამძლეა... დალიე, ხომ ხედავ, რას მოვესწარით, მე, გოგლა, კახურ ღვინოს ვუყურებ და ერთი წვეთიც ტუჩზე ვერ მიმიკარებია. დაილოცე, ჩემ მაგიერ დალიე... ოდნავ გახელილ თვალებში სევდის ნისლები უბრუნავდნენო...

* * *

ამასწინათ, გიორგობის დღეს, ჩემი ძველი მეგობრის, თავის დროზე ფრიად პატივცემული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აწ გარდაცვლილი გიორგი ჩაგელიშვილის დიდებულ ქართულ ოჯახში მოვხვდი. გიორგი სწორედ ამ დღეს არის დაბადებული. ჩემი მასპინძლები იყვნენ გიორგის ვაჟი, ქართული ტყის დიდი ქომაგი, მოქმედი აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი, შვილიშვილი ირაკლი, უებრო ვაჟკაცი, და მისი მშვენიერი მეუღლე თამუნა წივწივაძე... რევაზმა გაიხსენა ერთ-ერთი გიორგობა, როდესაც ოჯახის სტუმართა შორის ყოფილან გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, პაატა გუგუშვილი, სიმონიკა სხირტლაძე, ჩინებული ფილოლოგი და ქართული სუფრის უცვლელი თამადა, რომელსაც სწორედ იმ სუფრაზე, შვილიშვილების სადღეგრძელოს დროს, მწვანე ფერის ქაღალდის ხელსახოცზე დაუწერია თავისი ცნობილი სტრიქონები...

ჩემს პატარა დუდის
თაფლის სუნი უდის,
დაჰყვეს სიყვარული
ჩიტუნების ბუდის,
მოხვდეს ნაპერწკალი
რუსთაველის ქუდის,
რომ შეიძლოს ცნობა
კარგისა და ცუდის...

გიორგი ლეონიძეს ისე მოსწონებია ლექსი, რომ აღფრთოვანებულს გადაუკოცნია სიმონიკა და ირაკლისთვის უთქვამს, აბაშიძისთვის, უყურე შენ ამას, კიდევ კარგი, თამადობას გაჰყვა და არა პოეტობას, თორემ, მგონი, ნამდვილად გვაჯობებდაო.

რაჭველისას რას გაიგებო, შეიძლება ნელ-ნელა გამოამჟღავნოს პოეტური ნიჭიო, კეთილად გაუცინია ირაკლის, პოეტი სიმონიკას სადღეგრძელო შეუსვამს და ხმამაღლა განუცხადებია, გიორგი ჩაგელიშვილის ოჯახში, მასპინძლის დაბადების დღეს, კიდევ ერთი ქართველი პოეტი დაიბადაო...

* * *

ამ დღეებში რედაქციაში შემოიარა ჩვენმა ძველმა მეგობარმა ჯანაშია ლაურიმ, ჩინებულმა პიროვნებამ და ჭეშმარიტმა ინტელიგენტმა. ლაური უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც თბილისიდან გადაქობულეთელდა მეუღლესთან ერთად. ახლა მეგობრის გარდაცვალების გამო განცხადების გამოქვეყნების თაობაზე ჩამოვიდა თბილისში. ლაური სიძეა თავის დროზე დიდად ცნობილი თეიმურაზ დავითაშვილისა, რომელიც მთელი 38 წელიწადი სათავეში ედგა საავტომობილო ტრანსპორტს, რაც უიშვიათესი შემთხვევაა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ისტორიაში. ამ თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე და საერთოდაც მინისტრი თეიმურაზ დავითაშვილი 45 კვადრატულ მეტრ სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა, რაც მთავარია, მთელი ამ ხნის განმავლობაში არავისგან ერთი ძვირი სიტყვაც არ თქმულა მინისტრ დავითაშვილზე, რომელსაც სიძეც ზუსტად ასეთივე შეხვდა.

მე არ ვიცოდი, ლაურისგან გავიგე, რომ გოგლას პატარა აგარაკი ჰქონია ჯერ კიდევ ომამდე ქობულეთში. დღესაც არიან თურმე ადამიანები, ვისაც კარგად ახსოვთ დიდბუნებოვანი და ბუნებათანაზიარი გიორგი ლეონიძე, რომელიც ფარი და ხმალი ყოფილა გარშემომყოფთათვის. ერთი უკვე კარგა მიმხცოვნებული ქობულეთელი იმასაც იგონებს, როგორ მიუწვევიათ გოგლა თავიანთ სკოლაში. პოემა „ფორთოხალა“ ახალი დამთავრებული ჰქონდა და პირველად ჩვენი სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს წაგვიკითხაო. აჭარლებს კიდევ იმიტომაც გვიყვარს გოგლა, რაკი იგი თავის თავს აჭარელად მიიჩნევდაო.

* * *

არ მინდა, მკითხველს თავი შევაწყინო. არ მინდა, რომ გაჭიანურებული თხრობა გამომივიდეს, ამიტომ ბევრ რასმე სხვადასხვა მოსაზრებისა გამო არა ვწერ, თორემ საყვარელ ადამიანზე, მით უმეტეს, ყოვლადქართველ დიდ შემოქმედზე მოსათხრობს რა გამოლევს! მთავარი კი ის არის, რომ გიორგი ლეონიძისანირი შემოქმედნი ერთი რამით უთუოდ მზესა ჰგვანან, ყოვლის უფრო გამორჩეულ მნათობს, დროსთან ერთად იკრებენ სიმხურვალეს, ადამიანის გულის გამთბობ მცხუნვარებას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ, ბოლოს და ბოლოს, არ ჩადიან, მზესავით დროის ჰორიზონტს არ ეფარებიან. ისინი მუდამ თავიანთ ქვეყანასთან და თავიანთ ხალხთან ერთად რჩებიან მარადიულ თანამგზავრებად.

გურამ გოგიაშვილი

დასასრული. დასაწყისი იხ. №169-171

ლექსი – მიზანში!



თუ პოეტს შთაგონების მადლი სცხია, თუმცა დროთა განმავლობაში ემატება ასაკი, წლები, ხანში შედის, სიტყვა კი თანდათან უახალგაზრდავდება, ანუ პირიქით ხდება, რაც უწინარესად პოეტის გამუდმებულ რუდუნებას უნდა მივაწეროთ. სრულყოფილება სხვანაირად არ მოდის. მიწყივ მორუდუნე პოეტის სიტყვას რომ კითხულობთ, კარგი მკითხველი უმალ აღმოაჩენ, რომ სიტყვას თურმე გემოც ჰქონია, ფერიც და სურნელიც, რასაც მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტის ოსტატობა ააშკარავებს.

ამ აზრის საუკეთესო მაგალითი და დადასტურებაა ჩინებული პოეტისა და ლიტერატორის, აწ უკვე 85 წლის ემზარ კვიტაიშვილის პოეზია.

ემზარ კვიტაიშვილი 60 წელიწადზე მეტია, გამწევ წიქარად შებმულია ქართული მწერლობის არცთუ იოლ უღელში და მთელი ამ დროის მანძილზე არავისთვის ტოლი არ დაუდვია, წამითაც არ გამოშვებულა ამ არცთუ იოლი უღლიდან.

მართალია, ყოველის უფრო ძვირფასი ჯილდო — ხალხის სიყვარული კარგა ხნის მოპოვებული აქვს, მაგრამ იგი უთუოდ ღირსია, რომ მკერდს დიდი რუსთაველის ლაურეატის ნიშანი უმშვენებდეს, რაც, რა თქმა უნდა, გულს უთანაღრებს, და ეს ამბავი არცრას კარგს არ ლაპარაკობს იმ ადამიანებზე, ვისაც დღენიადაგ ცხოვრების მორევში მოტრიალე შემოქმედის სამართლიანი შეფასება და დაფასება მართებს.

ლექსები, რომელთაც დღეს ვაქვეყნებთ, ცხადად მოწმობენ, რა მოქალაქეობრივი ცეცხლიც უნთია პოეტს გულში, და რა სიმძაფრით გამოთქვამს ყველა საღად მოაზროვნე ქართველის გულისნადებს.

ჩვენი რედაქციაც პოეტის მდიდარი შემოქმედების ყველა გულწრფელად დამფასებლის სახელით ულოცავს 85 წლის ემზარ კვიტაიშვილს დაბადების დღეს და უსურვებს, რომ საუკუნე სრულად ჩამოემარცვლოს ქართული კაზმული სიტყვის კვლავაც ნაყოფიერ მსახურებაში.

ემზარ კვიტაიშვილი

დედაო ღვთისავ, დაგვიხსენი!..

გონს მოვეგოთ!

ფრიად იშვიათი გახდა
წერა ლექსთა, ხალასთა;
ნაყარ-ნუყარები მევრის
ილასტება ბალასტად.
როგორც ასი წლის წინ ითქვა,
ბათუმს გვართმევს თათარი;
რა დავფაროთ, საქმე ჩვენი
სხვა მხრივაც ცუდად არი!

გავილიეთ, ცასთან ერთად
მიწაც დაპატარავდა...
წამდაუწუმ თავს გვახსენებს –
კრწანისი და მარაბდა.
ბრძენმა ბრძანა, არ გვარგია
ყოფნა ყრუდ და ბეცადო;
რამეფერად საქართველოს
გადარჩენას ვეცადოთ!

ჯავახეთის მონატრება

ნეტავი უწინდებურად
თუ ისარკვება წუნდა,
მოწყენილ მთებს თუ ირეკლავს
თავფარავანი თუნდაც,
მე რომ ის ბიჭი აღარ ვარ,
ამას თქმა არც კი უნდა.

აწყურის ნახვა მწყურია,
ზარზმის ზარების რეკვა,
გული არ გადამიქანდეს –
მთლად ვიქნებოდი ხე-ქვა...
ისეც ჩანს, გახდა ზედმეტი
წარსულის ამოქექვა.

რას არ მივცემდი, შორიდან
რომ დამანახა თმოგვი,
კარგი აღარა მოგვველის –
ვეღარას გვეტყვის მოგვი,
გვიშველონ, ყველა სალოცავს
შემოვუვლიდი ჩოქვით.

ჩვენივე დასაბუგავი,
რა ცეცხლი ავარვარდა...
რომ წაეფაროს სამზერელს,
ნისლის ფარფარებს ფარდა,
დასაკარგავიც რაღა გვაქვს,
თვითონ სამშობლოს გარდა?!

იმპერიებს შორის გაჭყლეტილი

სიცოცხლევ, გაუხარებელო,
გულზე უქრობი ცეცხლი მომდე,
რა გადიტანა საქართველომ -
პომპეუსიდან პომპეომდე!

დამაქცევარი აქციები,
სიგიჟე, გალენჩება სრული,
მოღალატეთა ალყაშია
სამშობლო ჩვენი მოქცეული.

გაქაჩულებო ლიდერებად,
მიკროფონიდან მჩხავანებო,
სულგაყიდულებს, თქვენისთანას,
ქვეყანა როგორ დავანებოთ?

ვაი, ამ ყოფას! თვალს არ სჯერა,
ძნელად ამოთქვამს ენა, ყელი...
ვერც ვიფიქრებდით – იმოდენი
ჭუჭყია მოსაშორებელი.

სანამდი წარღვნა წაგვიღებდეს,
ვიდრე შეგვმუსრავს ავი სენი -
აგრემც ეგ კალთა დაგელოცოს,
დედაო ღვთისავ, დაგვიხსენი!

ტოტალური ტვინგამოლაყება პარლამენტთან

(დემაგოგის პასუხად)

ყალბად შერისხულ არჩევნებისა
გასრულდა ბოლო ფაზა,
ზოგმა ძლივს გადალახა ჯებირი,
უფრო მეტს – მოეხაზა.

რად არ წალეკავ ზღვა უმსგავსობას,
გნატრობ, ილიას თერგო,
სირცხვილი, თავის მოჭრაა, ნაცებს
ამდენი ხმა რომ ერგო!..

სიყრმის ნანგრევებზე დავდივარ

(„ფიქრის გორა“)

ძმებო, ლექსო და ომარ,
ვეღარაფერი ვქენი...
თქვენ კი არა და სახლიც
აღარსადაა თქვენი.

რამდენი გამწარება
გერგოთ, არ ითქმის მშვიდად,
უმამოდ დარჩენილებს,
დედა, დეიდა გზრდიდათ.

მწუხარე დავუყვები
იმ ნიკოლაძის დაღმართს,
ნაცნობი აღარავინ
მხვდება გამოღმა, გაღმა.

უკვალოდ დაკარგულან
(გულს ზღვა ნაღველი აწევს)
ერთიმეორის მჯობი,
ორი და, მიქელაძე.

აქა-იქ იხსენება
ის ჩვენი მერვე ვაუთაც,
ამოიძირკვა თვალწინ,
ყოველი იქცა ნაშთად.

ერთი და მრავალი

ჯავრი ვერ გავაძევე,
ბევრის ვალი მაძევს;
რაინდს, გულუხვს, ვიხსენებ
მურად წივწივაძეს.
რა ლხინს სწევდა, სხვა შუქი
ანათებდა პარმაღს...
მისი დიდი მარჯვენის
სითბო იგრძნო მხარმა.

იმ სუფრაზე რაც ვნახე,
ძმობა იმას ერქვა...
მათი სახლის გარშემო,
ცხრა ხარობდა ძელქვა.

კრიალა და მაღალი,
დაგვყურებდა ზეცა...
იმ დღის მერე რამდენის
მკერდი შეილეწა.

არაფერი არსებობს
უფრო წმინდა, სანდო –
მათ სახელზე, ხატის წინ,
სანთელი რომ ვანთო.

ამაოდ ვინავალე

მოვაგროვე ბევრი რამ,
სიმწრით, არა ზმორებით,
აღარ მოჩანს ნაპირი,
ბნელი მითრევს მორევი.

აშრიალებს, გარშემო,
ხეებს, ცამდი აწვდილებს,
რამსიღრმეა, ფსკერს მისას
ფეხი ვერ დავაწვდინე.

ნეტავი რა ჩაითქვა,
მივეც ძალა ულევი,
უთვალავი, კამკამა,
ჩანთქა ნაკადულები.

ვიცი, ვერ მოვიხელთებ –
მცირე წილსაც, ნაწევარს,
ზღაპარია აწ ჩემი
გაღმა გასვლა, გაღწევა.

მხოლოდ შორი ტალღების
მესმის ჩქეფა, ტლაშუნი...
ამდენ ხვრელში გაჭვრეტილს,
რა დამრჩა შესაშური?!

ვის დავკარგვივარ

მირჩევს ექიმი, დილა-საღამოს
გაიზომეო წნევა;
ისე, ვით ყოფნა, არყოფნაც ჩემი,
არაფერს დაემჩნევა.

შინა თუ გარეთ, არ მშინებია,
დამცრობის, ხელმოცარვის;
არ უნდა ახსნა – გახსენებისთვის
არ შევაწუხებ არვის.

ახლავე ვიცი, ქვეშ მოვექცევი –
რა ღორღს, რა ქვიშას, რა შლამს...
დავიწყებასაც არ დასჭირდება
ჩემი დატკეპნა, წაშლა.

მოღრუბლული დღე

(ელენეს გარდაცვალების თარიღი)

ვაკვირდები რუხისა
და ყვითელის ნარევს,
დილიდანვე წუხილი
სულს მიხუთავს მწარე.

მოვიგონო რომელი
ხერხი, ანუ ფანდი,
ასი წელი ვინ მომცეს
ამის გასაფანტი.

როდის იყო, შუაზე
ჯავრი რომ არ მხევდა,
სულ მარტოა სამარე,
შენი ვერეს ხევთან.

პირღიაა რამდენი
ჯურღმული და ღრანტე...
შენი ბიჭი გინთებდა
წუხელ ღამით სანთელს.

ნაწვალები უღმერთოდ,
საშველს ვერსად ვნახავ,
ჩაიწვება ეს დღეს და
ლოდს ამკიდებს ახალს.

ზნე არ შემიცვლია

არ დამვიწყნია მთვრალსა
თუ ფხიზელს,
რაა მოსაცდელ-დასაყოვნები,
რაღა დამიშლის, მოვიქცე ისე,
ვით იქცევიან ასაკოვნები.

ღვთის მადლით, ვარჩევ ფერებს
და ბგერებს,
თუმც ჩაინავლა წელთა ზონარი;
ვინ რა შეკონა, დათვალონ მერე,
არ დამლევია მოსაგონარი.

დილის საათი

(სეირნოგის დრო)

სანამ ვარ, ალბათ, ვიქნები ესე,
კაცს ამკობს ზრდილობა და თავაზი,
ძლივს დავფრატუნობ და
ყოველ წრეზე,
ბრინჯაოს კეფა ჩანს კოსტავასი.

სხვას არას ვნატრობ, ამცილდეს
მხოლოდ
ცვლილება – უცაბედი, უცები;
კვლავ მაგონებენ თავსა და ბოლოს
ბაღში – ბავშვები და მოხუცები...

№ 172-173. ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7-8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2020 ᲬᲔᲚᲘ.

ᲝᲛᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲛᲐ ᲞᲘᲠᲜᲐᲛᲘᲜᲓᲐᲓ ᲬᲐᲐᲒᲝ...

2020 ᲬᲔᲚᲡ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებიდან კორონავირუსობას რომ ვერაფერი შეედრება, ფაქტია. გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში გაჩენილმა ვირუსულმა დაავადებამ, „კოვიდ-19“-ად წოდებულმა, 2020 წლის იანვრიდან ფართოდ გაშალა ფრთები და პანდემიად გადაიქცა – შესაბამისი უმძიმესი შედეგებით.

კორონავირუსს „პოპულარობით“ რომ აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩამორჩა, ესეც ფაქტია. 3 ნოემბერს ჩატარებული არჩევნები, თავისი არადემოკრატიულობით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვით, სიმახინჯეში გადასული სხვა დარღვევებით რომ მძიმე დაღს დაასვამს მსოფლიოს პირველ ქვეყნად წოდებულს, ესეც ფაქტია.

„ᲕᲘᲧᲝᲗ გულწრფელნი და ვთქვათ – ჩვენ რომ ასეთი ქაოსის მატარებელი ქვეყანა გვეხილა, გადაჭრით დავასკვნიდით, რომ ის გაკოტრების წინაშეა – ისეთ სახელმწიფოდ გადაქცევის, რომლის ხელისუფლება უძლურია აკონტროლოს ვითარება“, – პოლ კრუგმანი, 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი.

ამ ფონზე კავკასიაში დაწყებული ომი – ყარაბაღის ომად წოდებული, ზემოთმოყვანილ მოვლენებს რომ არ ჩამოუვარდება, ესეც ფაქტია. და არა იმიტომ, რომ კავკასიაა და მისი გაზვიადების სურვილი გვამოძრავებს, არამედ იმიტომ, რომ მრავალ კითხვას და პოლიტიკურ შურს აღძრავს – სამომავლო დაძაბულობით.

შური უკვე გაჩენილია საკუთარი პრობლემებით გადაღლილ ამერიკა-ევროპაში და მიუხედავად ამისა, ისინი იმ მელიას გვაგონებენ, სიკვდილის წინ თავი რომ საქათმისკენ მიაქვს. მხედველობაში არა აშშ-ს, როგორც ქვეყნის ფიზიკური დასასრული მაქვს, არამედ ერთპოლუსიანობის – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საკუთარ თავზე რომ მოირგო.

„რუსეთმა შეძლო ავტორიტეტის განმტკიცება კავკასიასა და სხვაგან, სადაც იმყოფებიან რუსი სამშვიდობოები. მოსკოვმა გვაჩვენა, რომ შეუძლია სწორი გადაწყვეტილებების პოვნა. მხარეებისთვის მის მიერ შეთავაზებული ფორმულები ყველაზე კარგი გამოდგა. მათ რომ მოსკოვის წინადადებებისთვის ადრე მიექციათ ყურადღება, ომს ადგილი არ ექნებოდა. რუსეთმა დაამტკიცა, რომ პრობლემების მოსაგვარებლად იყენებს სწორ, გონივრულ, კონსტრუქციულ მიდგომებს. ერთადერთი შავი ლაქა თურქული გავლენის გაძლიერებაა, მაგრამ შესაძლებელი იყო ამის თავიდან აცილება?“, – ამბობს ისრაელელი პოლიტოლოგი, საიდუმლო სამსახურის ყოფილი მაღალჩინოსანი, ამჯერად სამხედრო ექსპერტი **იაკობ კედმი.**

კედმის მოსაზრებას მოგვიანებით რუსეთის პრეზიდენტმა გასცა პასუხი – დაიშალა საბჭოთა კავშირი. გაჩნდა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოები, მათ შორის აზერბაიჯანი, რომელიც თავისი შეხედულებისდა მიხედვით ირჩევს მეგობრებს.

სამართლიანობა მოითხოვს, ვაღიაროთ შემდეგი – რუსეთმა მოახერხა ის, რაც ვერც ამერიკამ და ვერც საფრანგეთმა – მთიანი ყარაბაღის საკითხების მომგვარებელმა მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა.

აზერბაიჯანში ზეიმია. პრეზიდენტი ალიევი აცხადებს აზერბაიჯანის არმიის ტრიუმფალური გამარჯვების შესახებ და სომხეთისგან ანაზღაურებას ითხოვს. სომხეთში გლოვაა, ომში დამარცხებით გამოწვეული, რომელსაც თან ახლავს სომხების საპროტესტო გამოსვლები პრემიერ-მინისტრ ფაშინიანის გადადგომის, პარლამენტის დათხოვნის, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით.

საპროტესტო გამოსვლების დროს გაისმის რუსეთის კრიტიკაც, რომელმაც, მათი აზრით, უღალატა სომხეთს. ანალოგიური ნეგატივი აზერბაიჯანშიც შეინიშნება. ისინიც აძაგებენ რუსეთს, რომელმაც აზერბაიჯანს არ მისცა სტეფანაკერტის დაპყრობის საშუალება.

უკმაყოფილოა თურქეთიც – აზერბაიჯანის ძმა და მეგობარი (ალიევის განცხადებით), რომელიც აქტიურად იღებდა მონაწილეობას ომში. მხედველობაში გვაქვს თურქი სამხედრო სპეციალისტები – მჭიდრო თანამშრომლობაში მყოფნი აზერბაიჯანის არმიასთან.

აზერბაიჯანს თურქეთი წლების განმავლობაში აწვდის იარაღს, სამხედრო ტექნიკას, მათ შორის უპილოტო საფრენ აპარატებს – „ბაირახტარის“ სახელით ცნობილს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ყარაბაღის ომში. ეს საფრენი აპარატი დამამზადებლის სახელს ატარებს. ის თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის სიძეა.

ერდოღანი კატეგორიულად მოითხოვდა სამშვიდობო ძალებში თურქი სამხედროების მონაწილეობას, მაგრამ პუტინმა უარყო ერდოღანის მოთხოვნა და დაარწმუნა ის, რომ სომეხთა გენოციდის მომწყობი, ვერაფრით მოირგებდა აზერბაიჯან-სომხეთის გამშვებლის მანტიას, მიუხედავად იმისა, რომ მინსკის ჯგუფის წევრია სხვა თერთმეტ წევრთან ერთად.

ვიმეორებ – აზერბაიჯანს აქვს უფლება მიიწვიოს უცხო ქვეყნის სამხედრო ძალები თავის მიწა-წყალზე, მაგრამ ყოველგვარი სამშვიდობო ძალების სტატუსის გარეშე.

რუსეთ-თურქეთმა შექმნა ერთობლივი საკონტროლო ცენტრი აზერბაიჯანის მიწა-წყალზე, რომელიც მონიტორინგს გაუწევს მთიან ყარაბაღში მიმდინარე პროცესებს.

ომი დამთავრდა, თუმცა არვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება მშვიდობა, რომელსაც დაბოღმილი დასავლეთი და მის მიერ წაქეზებული თურქეთი სხვადასხვა სახის პროვოკაციით ემუქრება. ამ ომში იმაზე მეტი ჯარისკაცი დაიხოცა, ვიდრე ავღანეთში საბჭოთა კავშირის სამხედრო ოპერაციაში 10 წლის განმავლობაში.

მოდით, საღად შევხედოთ მხარეთა პოზიციებს ომის დამთავრების შემდეგ და შევაფასოთ არსებული ვითარება, რომელშიც დაგვეხმარება ანდრია რაევსკი – დაბადებული ციურიხში, ჰოლანდიელი მამისა და რუსი დედის ოჯახში. ის დასავლეთში ცნობილი ბლოგერია. მუშაობდა შვეიცარიის შეიარაღებული ძალების ანალიტიკოსად, გაეროს სტრუქტურებში მკვლევარად. ცხოვრობს აშშ-ში, ფლორიდაში. სწავლობს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ვითარებას.

„არავითარი ეჭვი იმისა, რომ ამ ომში ყველაზე მეტად სომხეთმა წააგო – არ არის. ფაშინიანმა და მისმა რუსოფობ-სოროსულმა ბანდამ საკუთარ ხალხს უბედურება მოუტანა. მას შემდეგ, რაც ფაშინიანი მივიდა ხელისუფლებაში, მან გამორიცხა სომხეთის ოდკბ-ში ყოფნა; შეწყვიტა რუსეთთან თანამშრომლობა ყველა საკითხში, მათ შორის დაზვერვასა და უსაფრთხოების საკითხებში; გაწმინდა სომხეთის შეიარაღებული ძალები და უშიშროების ორგანოები პრორუსული ელემენტებისგან; სკოლებში აკრძალა რუსული ენის სწავლება. ომის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში ფაშინიანი კატეგორიულად არ სთხოვდა რუსეთს დახმარებას. ნაცვლად ამისა, მან თხოვნით აიკლო ტრამპი, მერკელი, მაკრონი, რომლებსაც არავითარი დახმარება სომხეთისთვის არ გაუწევიათ.

გამოცდილი და საუკეთესო ოფიცრების ჯარიდან დათხოვნის შემდეგ, მათი ადგილი ჯამბაზებმა დაიკავეს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სხვათა, მათ შორის რუსეთის დაუხმარებლად შეძლებენ ომში გამარჯვებას და ბაქოში ჩასვლას.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. მისი მიზანი სტეფანაკერტის აღება და მთიან ყარაბაღზე თურქულ-აზერბაიჯანული კონტროლის დაწესება – ვერ განხორციელდა. მაგრამ თურქეთმა შეძლო გაეფართოებინა თავისი სამხედრო გავლენა აზერბაიჯანში, სამხედრო კონტიგენტის და სპეციალისტების სახით, რაც ხელს შეუწყობს მას იმ იდეის განხორციელებაში, რასაც ნეოოსმანური იმპერიის შექმნა ჰქვია.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ. ეს არის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ნამდვილად მოიგო ამ ომში. ამერიკასა და ევროპაში, აგრეთვე რუსეთში არის მძლავრი სომხური ლობი, რომელიც ცდილობს, დაარწმუნოს ყველა, რომ სომხეთის დამარცხება, რუსეთის დამარცხებაა, რაც სრული სიცრუეა.

2000 მშვიდობისმყოფელი, ჩაყენებული მთიან ყარაბაღში, პირველი კლასის, კარგად გაწვრთნილი, კბილებამდე შეიარაღებული სამხედრო მოსამსახურით არის დაკომპლექტებული, რომელსაც ზურგს უმაგრებს სომხეთში არსებული რუსული სამხედრო ბაზები.

რუსეთის სამხედრო დოქტრინა წმინდა თავდაცვით ხასიათს ატარებს, რომლის მიზანია რუსეთის მიწა-წყალზე მექანიზებული ძალების სწრაფი ამოქმედება და რუსეთის საზღვრებიდან 1000 კილომეტრის დაშორებით არსებული მიწა-წყლის კონტროლი და მტრის იმ ძალების განადგურება, ვინც შეეცდება ამ ზონაში სამხედრო შეღწევას.

რუსეთი აკონტროლებს ნახიჩევანი-აზერბაიჯანის დამაკავშირებელ გზას, ისე, როგორც სომხეთ-მთიანი ყარაბაღის გზას. სტრატეგიული გეგმის მიხედვით, ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთს რკინის მარწუხებში აქვს მოქცეული აზერბაიჯან-სომხეთის სასიცოცხლო მნიშვნელობის არტერიები.

დღეიდან რუსეთს მუდმივად ჰყავს თავისი სამხედრო ძალები სომხეთსა და აზერბაიჯანში. საქართველო პრაქტიკულად სტერილიზებულია. შავი და კასპიის ზღვები დე ფაქტო რუსული ტბებია, ხოლო რუსეთის სამხრეთის საზღვრები გაცილებით დაცული, ვიდრე ოდესმე.“

დავეთანხმებით თუ არა ავტორის მოსაზრებას – ნებისმიერი ჩვენგანის საქმეა, მაგრამ ის, რომ რუსეთის პოზიციები განმტკიცებულია, ფაქტია. ეს ქვეყანა არც საქილიკო, დაცინი, მით უმეტეს, სალანძღავი არ არის. ეს ისაა, სხვაგვარი სახელმწიფო პოლიტიკის მისადაგებას რომ საჭიროებს და არა ისეთს, ე.წ. ქართველი ექსპერტები რომ მოითხოვენ.

შეგახსენებთ – აშშ-ს სახელმწიფო მდივნის პომპეოს თბილისში ჩამოსვლას ამერიკულ ინსტიტუტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე 40-მა ქართველმა „ექსპერტმა“ წერილობითი თხოვნა შეაგება – საქართველოში ამერიკის სამხედრო ბაზის გახსნის თაობაზე, ხოლო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გახარიამ სტუმართან მოლაპარაკება ასეთი სიტყვებით დაიწყო: **„ძალიან კარგი შესაძლებლობა გვეძლევა მნიშვნელოვანი საკითხების განსახორციელებლად თავდაცვისა და უსაფრთხოების, ეკონომიკისა და დემოკრატიის კონსოლიდაციის საკითხებზე. ...ამ რეგიონში შეერთებული შტატების გაძლიერებული წარმომადგენლობის მომენტი დადგა.“**

ანალოგიური წინადადება არაერთხელ გახმიანა ლეიბორისტთა ლიდერმა ნათელაშვილმა, რაც მაფიქრებინებს, რომ იდეა იქ დაიბადა, ე.წ. ჩვენს სტრატეგიულ საძმოში, რომელიც აქაურებს აატაცებინა – ვითარცა ქვეყნის გადარჩენის და უსაფრთხოების ერთადერთი გზა. ცხადია, ამ იდეაში, საქართველოს ხალხს არავინ ახედებს. ის პოსტ-ფაქტუმ გაიგებს. იდეის განხორციელების შემთხვევაში, რაშიც ეჭვი მეპარება, ვინაიდან აშშ-ში ექსტრემისტულად მოაზროვნეთა გარდა, გონიერი ადამიანებიც არიან (ზოგიერთი ჩვენგანისგან განსხვავებით), რომლებიც არ დაუშვებენ რუსული სამხედრო ბაზებით დაძეძგილ ერთ ციდა საქართველოს მიწა-წყალზე, მათთვის სარისკო, აშშ-ის სამხედრო ბაზის გახსნას.

ბაზის გახსნა არ არის „ავერს“-„ᲞᲡᲞ“-ს აფთიაქების გვერდიგვერდ განლაგების ღონისძიება, რაც უნდა იცოდნენ ქართულმა პოლიტელიტამ და ექსპერტობამ.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲫᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘ.

რატომ ვცხოვრობთ წუმპეში?!

– დღეს ხომ ყველა „გირჩზე“ ლაპარაკობს... მეც ვიტყვი ორ სიტყვას!

რაც ენაზე მომადგება ყველაფერს გულწრფელად დავწერ!

რამ განაპირობა ის, რომ დასახელებული პარტია თბილისში მესამე ადგილზე გავიდა?

რამ განაპირობა ამ პარტიის დაწინაურება?



„ეს ითვლება ხომ კარგ ტონად ამ ქვეყანაში?! ეს არის თავისუფლება!!!“

1. „გირჩის“ ამოტივტივებაში ლომის წილი მიუძღვის სახელმწიფოს, რომელიც ერთი წლით, ყოველთვიურად სამოცლარიანი ანაზღაურების ფასად, 18 წლის ბიჭის დაცვის პოლიციაში დარაჯად, მონად განმწესებას „სავალდებულო სამხედრო სამსახურს“ უწოდებს და ადამიანებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს; რომელიც მარიხუანის მოხმარების გამო ციხეში აგდებდა მოქალაქეს. ხალხის ჩაგვრის ამ ფორმებზე ხმის ამოღება თავისი მავნებლური იდეების თანხლებით, მათ შესანიშნავად გამოიყენეს დივიდენდების დასაგროვებლად.

ამასთანავე, სახელმწიფო უწყებები უზომოდ ლმობიერნი არიან პარტიის ლიდერთა მიერ მიზანმიმართულ კანონდარღვევებზე რეაგირების დროს, თავზე ხელს უსვამენ ხოლმე წინამძღოლებს.

2. პარტიის ამოტივტივებაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს მმართველი ელიტის წარმომადგენლებიც. დაარსების დღიდან ამ მოძრაობის დაფინანსება არ მორიდებიათ ხელისუფლებასთან და სახელმწიფოსთან დაახლოებულ ბიზნესმენებს. დღეს ოპოზიციურ პარტიებს თავისი ნებითა და სურვილით, მთავრობის მხრიდან ანთებული მწვანე შუქის გარეშე მდიდარი, სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე მილერი გვენეტაძეები არ აფინანსებენ...

პალიკო კუბლაშვილი, პარტიის დამფუძნებელიც ხომ ყველა კრიტიკულ მომენტში ჩნდება სახელმწიფო კანცელარიაში და ოპოზიციასთან შუამავლის ფუნქციის პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე.

3. პარტიის ამოტივტივებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე ტექნოლოგიების კარგად ფლობამ. ამ პარტიის წევრები მოქნილად იყენებენ სოციალურ ქსელებს, გადასარევი ელექტრონული პლატფორმაც ააწყვეს, შეკავშირებულად მოქმედებენ, არიან ორგანიზებულნი სხვების დაცინვაში, ტალახის სროლაში, „კიბერბულინგში“. ჩანან, ჩხუბობენ, თავს ესხმიან ადამიანებს, დღის წესრიგზე ახდენენ გავლენას, „ინტერნეტ-გვარდიის“ გენერლებს ელემენტარული ზრდილობის ნატამალი არ აქვთ.

4. ორგანიზაციის გაძლიერების მთავარი წყარო მაინც ქართული მედიისა და ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის სნობიზმია. კაჭკაჭი ნებისმიერ ბრჭყვიალა ნივთს ეტანება, არ აქვს მნიშვნელობა, რას წარმოადგენს ის! ჩვენი პოლიტიკური კლასი იმდენად უღიმღამო, ერთფეროვანი და ნაცრისფერია, რომ მათგან ნებისმიერი ნიშნით განსხვავებული ფიგურა, პროგრესის მთავარი წყარო ჰგონიათ! ჰუდისა და შორტების ჩაცმა, კედების ამოცმა, პირდაპირ ეთერში გინება, „ინსტაგრამზე“ „ქუიზების“ დაპოსტვა, პოპულარულ ღამის კლუბთან გაელვება, ატოცში შარვლის ჩახდა და მამუკა მდინარაძისგან განსხვავებული იმიჯით აღჭურვა, მოსახლეობის 2-3%-ს „უუუმაგრესი ამბავი“ ჰგონიათ!

5. ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც მეხსიერება ხშირად ღალატობს. ყველაზე რეპრესიული რეჟიმი, ყველაზე რეპრესიული ნარკოპოლიტიკა, ყველაზე რეპრესიული და ნაკლებად თავისუფალი გარემო ამ ქვეყანაში სწორედ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იყო... იმ პერიოდში შეიქმნა „დარაჯად განმწესების“ სამხედრო სამსახურიც. მაშინ „გირჩის“ დამფუძნებლები და ლიდერები ან იმ ხელისუფლების თვალსაჩინო, გავლენიანი წარმომადგენლები და მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ, ან ტელევიზიიდან ტელევიზიაში დადიოდნენ, რათა დებატებში დაეცვათ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი („იუთუბზე“ ახლაც შეგიძლიათ მიაკვლიოთ თეა სიჭინავას 2010-2011 წლის გადაცემებს). ვიღაცებს კი სჯერათ, რომ სააკაშვილის მარცხის შემდეგ გამოჩნდნენ ისინი ენმში და მალევე გაემიჯნენ მას!

ტყუილია!

მაგრამ მთავარი უბედურება არის ის, რომ „გირჩის“ წევრები ღიად ამარტივებენ, ამების დონეზე განიხილავენ უსერიოზულეს პრობლემებს!

ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების საკითხზე აზრის გამოთქმის ფორმის თაობაზე ვერ თანხმდებიან, თორემ შინაარს რა უჭირს. თურმე, რა მოხდა! არასრულწლოვანი გააშიშვლეს, იძალადეს მასზე, ვიდეო გადაუღეს, შემდეგ ეს ვიდეო გაყიდეს და რა უჭირს! ნაბაკოვიც იგივეს არ აკეთებდა! მშობელს ბავშვის გაყიდვა თუ მოუნდება, ამაში ხელი უნდა შევუწყოთ! წერა-კითხვას ისწავლის თუ არა ბავშვი, ეს მშობლის გადასაწყვეტია... თურმე, სექს-მუშაკები უბედნიერესი ადამიანები არიან, თან მუშაობენ, ჰონორარს იღებენ, თან ოცი ორგაზმი აქვთ დღეში! თურმე, ღარიბ, სასოწარკვეთილ, მშიერ, დეპრესიულ, დეპრივაციაში მცხოვრებ საზოგადოებაში ნებისმიერს უნდა ჰქონდეს იარაღის შეძენისა და ტარების უფლება, არ უნდა გავაკონტროლოთ ნარკოტიკებით ვაჭრობა... რა საჭიროა გარემოსდაცვითი რეგულაციები! თუ ფულს დადებს ინვესტორი, მთელი ქვეყანა ჩაძიროს წყალში, ყველა ირემი ამოიწყვიტოს ტყეში! რა საჭიროა საერთოდ სახელმწიფო და მისი კეთილდღეობის ინსტიტუტები?! სახელმწიფოს მაგივრად უნდა გვქონდეს სასამართლო და შეზღუდული უფლებების მქონე არჩევითი პოლიცია, დანარჩენი თავისით იქნება! ვიღაცები დაიხოცებიან, ვიღაცები გადარჩებიან... ჯუნგლებში ვართ, მორჩა და გათავდა!

ეს ითვლება ხომ კარგ ტონად ამ ქვეყანაში?! ეს არის თავისუფლება!!!

ჰოდა, სახელმწიფოს მაგივრად, ვცხოვრობთ წუმპეში!“

ლევან ლორთქიფანიძე

ულვაშებიანმა ვაშაძემ ვერ დაშალა ოპოზიციური ერთობა და ამას ვერც „გირჩი“ მოახერხებს

ულვაშებიანი **გრიგოლ ვაშაძის სკანდალური განცხადებები თუ ვერ შლის ოპოზიციურ „ერთობას“, ამას ვერც „გირჩი“ მოახერხებს,** – ამის შესახებ „2020-NEWS“-თან საუბრისას პოლიტიკურ საკითხებში ექსპერტმა **რამაზ სამვარელიძემ** განაცხადა.

მისივე თქმით, მსგავსი დაპირისპირებები ყოველთვის იყო ოპოზიციასა და ხელისუფლებაშიც, ამიტომაც „გირჩში“ განვითარებული მოვლენები ოპოზიციურ „ერთობას“ ვერ დაშლის.

„მსგავსი დაპირისპირებები ყოველთვის იყო ოპოზიციაში და აგრეთვე ხელისუფლებაშიც, ამიტომაც „გირჩში“ განვითარებული მოვლენები ოპოზიციურ „ერთობას“ ვერ დაშლის. ჩვენ კარგად გვახსოვს „ქართულ ოცნებას“ რამხელა ჯგუფი გამოეყო და არ დაშლილა.

თავის დროზე „გირჩის“ დამფუძნებლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები იყვნენ, თუმცა, მალე მათ საკუთარი პარტია ჩამოაყალიბეს, ამიტომაც, ვნახოთ, რა იქნება... დაველოდოთ მოვლენების განვითარებას“, – ამბობს საყვარელიძე.

საყვარელიძის თქმით, თუკი „გირჩიდან“ „გამოსული“ ადამიანები პარლამენტში შევლენ, მათ რაიმე სახის კონკრეტული გეგმა ექნებათ გაწერილი, რის მიხედვითაც იხელმძღვანელებენ და გაერთიანებულ ოპოზიციას საბოლოოდ ჩამოშორდებიან.

„თუკი „გირჩიდან“ „გამოსული“ ადამიანები პარლამენტში შევლენ, მათ რაიმე სახის კონკრეტული გეგმა ექნებათ გაწერილი, რის მიხედვითაც იხელმძღვანელებენ და გაერთიანებულ ოპოზიციასაც საბოლოოდ ჩამოშორდებიან.

ოპოზიციური „ერთობის“ დაშლა ულვაშებიანი ვაშაძის განცხადებებმა და სალომე სამადაშვილის ამბავმა ვერ შეძლო, ამიტომაც ამას ვერც „გირჩი“ მოახერხებს“, – განაცხადა პოლიტოლოგმა.

ცნობისთვის, „გირჩის“ ლიდერმა, ზურა ჯაფარიძემ განცხადება გაავრცელა, სადაც წერს, რომ მისი, იაგო ხვიჩიას, ვახტანგ მეგრელიშვილისა და სანდრო რაქვიაშვილის გზები იყოფა და მათთან ერთად „გირჩის“ კეთებას არ აპირებს“.

ჯაფარიძის შერისხული „სამეული“ კი აცხადებს, რომ მათ ჯაფარიძე პარტიიდან ვერ გაუშვებს და მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანს უნდა პარლამენტში შესვლა, სერიოზული საფუძვლის გარეშე, არ შევლენ საკანონმდებლო ორგანოში.

ხატია მამულია

◎ ასოელი ამხელს

საცა ვიწროა, იქ გაწყდეს

თითქოს ქართულ სპორტს, ისევე, როგორც ზოგადად პანდემიასთან და სიდუხჭირესთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულ ქვეყანას, პრობლემები აკლდეს, განვლილი კვირის ტელევარსკვლავად ადვოკატის მანტიამოსხმული ერთ-ერთი სოროსელი ასოელი ანა აბაშიძე მოგვევლინა, რომელმაც არც აცია, არც აცხელა და



რომელიღაც ქალთა საფეხბურთო გუნდის მწვრთნელი საკუთარ შეგირდთა სექსუალურ შევიწროებაში ამხილა.

უფრო მეტიც, მგლის ქურქში გახვეულ კრავ აღმზრდელს ეს მძიმე ჯვარიც არ აკმარა და ჩაროზად ზოგიერთი მათგანის ეთნიკურ ნიადაგზე შეურაცხყოფაც დაუმატა.

ისიც შევიტყვეთ, რომ პროტესტის ნიშნად ექვსი გოგონა იმ ინკოგნიტო კლუბიდან წასულა, მათ შორის ორი — სწორედ უკანასკნელი მიზეზის გამო.

ბუნებრივია, ნემსის ქურდიც და აქლემის ქურდიც ქურდია და ორივე კანონის შესაბამისი მუხლით უნდა დაისაჯოს, მაგრამ იბადება კითხვა: თუ ნახევარი გუნდი განიცდიდა დამრიგებლისგან ტერორს და იძულებული გახდა, მოძალადეს გასცლოდა, დანარჩენებს სოლიდარობის გრძნობა არ გააჩნიათ თუ ისეთი მახინჯები არიან, რომ მისგან თვალთა ჟუჟუნი ვერ დაიმსახურეს? დავიჯეროთ, მეამბოხეთაგან ერთსაც არ ჰყავს მამა, ძმა ან რჩეული პირადი მეგობარი მამაკაცი, მისთვის გულის დარდი რომ გაენდო და მასაც ვაიპედაგოგისთვის ჭკუა ესწავლებინა?

ვიმედოვნებთ, კვანძი მალე გაიხსნება, მანამდე კი შეგახსენებთ, რომ ანა აბაშიძე ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის გახმაურებულ საოჯახო საქმეში მისი მეუღლის ინტერესებს იცავს.

გია პლატონიშვილი

◎ რაგბი

გიორგი ნიჟარაძე - ვიცე-პრეზიდენტად, ნაკრები - ბოლოზე



სასიამოვნო ინფორმაციით გვინდა დავიწყოთ: რაგბი ევროპის გენერალურ ასამბლეაზე 2024 წლამდე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად კვლავ რუმინელი ოქტავიან მორარიუ აირჩიეს, რომელმაც კონკურენტს - რუსეთის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ კირილ იაშჩენკოს დიდი უპირატესობით მოუგო. ჩვენთვის საინტერესო კი ის იყო, რომ საქართველოს რაგბის კავშირის ყოფილი პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე,** რომელიც საქართველოს წარმომადგენელია მსოფლიო რაგბის საბჭოში, საფრანგეთის რაგბის კავშირის გენერალურ მდივან კრისტიან დულინსა და ინგლისის რაგბის კავშირის საბჭოს წევრ რობ ადვინთან ერთად რაგბი ევროპის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. **„ეს არის ქართული რაგბის აღიარება და დაფასება, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას, აქტიურად ვიყოთ ჩართული ევროპული და გლობალური რაგბის განვითარების პროცესებში... რაგბი ევროპას სურს იყოს დომინანტი კონტინენტზე რაგბის განვითარების თვალსაზრისით და ამ ორგანიზაციაში საქართველო ტოპდონეზეა წარმოდგენილი. ეს არის ქართული რაგბის მრავალწლიანი მიღწევებისა და წინსვლის შედეგი“,** — თქვა არჩევნების შემდეგ გიორგი ნიჟარაძემ.

ახლა კი მოკლედ იმაზე, რომ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ბოლო, მერვე ადგილით დაასრულა ასპარეზობა შემოდგომის ერთა თასზე, ანუ რვა ერზე. „ბორჯღალოსნები“ ჯგუფურ ეტაპზე განცდილი სამი მარცხის (ინგლისთან — 0:40, უელსთან — 0:18, ირლანდიასთან — 10:23) შემდეგ ფინიშზე მეშვიდე ადგილისთვის ნაკოვიდარ ფიჯის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდნენ. ლევან მაისაშვილის შეგირდებმა მეტოქეს ვერც ამჯერად გაუწიეს ჯეროვანი წინააღმდეგობა. მატჩის პირველ ხუთ წუთში კუნძულელებმა ორი ლელო მიითვალეს, შეხვედრის პირველი ნახევარი კი 19:10 მოიგეს.

შესვენების შემდეგ თამაშის სცენარი, ფაქტობრივად, არ შეცვლილა: ფიჯის გუნდი კარგად თამაშობდა, განსაკუთრებით ნემანი ნადოლომ იყო ჩაღა, რომელმაც ამ მატჩში ლელოებით სამჯერ გამოიჩინა თავი. 63-ე წუთის მერე, რაც ანგარიში გახდა 38:10 ფიჯის სასარგებლოდ და ორთაბრძოლის ბედი თითქმის გადაწყდა, მეტოქემ იერიშებს უკლო. ამით ისარგებლეს ქართველმა მორაგბეებმა და ანგარიშში სხვაობა ორი ლელოგარდასახვით კი შეამცირეს, მაგრამ მარცხისგან თავის დაღწევა მაინც ვერ შეძლეს - 24:38.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ნარიაშვილი (გოგიჩაშვილი, 68), მამუკაშვილი (ბრეგვაძე, 49), გიგაშვილი (მელიქიძე, 10), ჯაიანი, მიქაუტაძე (ქერდიყოშვილი, 68), გიორგაძე (გაჩეჩილაძე, 60), საღინაძე, ჯალაღონია, ლობჟანიძე (აფრასიძე, 60), აბჟანდაძე, თოდუა, შარიქაძე, კვესელაძე, ტაბუცაძე, მათიაშვილი (ნინიაშვილი, 60).

ლექსო ციცაძე

◎ ოკეანის გაღმა

ჩვენი კაცი ჩიკაგოში

თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილი მოთამაშე ირაკლი მანია აგვისტოში ილინოისის შტატის დედაქალაქში მიიწვიეს სამუშაოდ და „ჩიკაგო ფაიარზის“ აკადემიაში 15-წლამდელთა გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტობა ანდეს.

ახალგაზრდა სპეციალისტს ზურგს შესაბამისი ლიცენზირების კურსების გავლის შემდეგ თბილისის „დინამოს“ აკადემიაში მწვრთნელობისას და კო-

ორდინატორობისას დაგროვებული ძვირფასი გამოცდილება უმაგრებს, ხოლო მოგვიანებით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაც გიორგი ცეცაძესთან ანალიტიკოსის ამპლუაში თანამშრომლობდა.

დავძენთ, რომ იქვე ავარჯიშებს ბავშვებს ჩვენი ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი **მამუკა წერეთელი,** ვეტერინართა კლუბისა და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების ექს-ნახევარმცველმა **პაატა დათუნაიშვილმა** ნიუ-იორკშიც შექმნა „ვიტ ჯორჯია“, ქართულ დიასპორას კი ამერიკაში „ამაგრებენ“ აგრეთვე საქართველოს 17-წლამდელთა გუნდის ყოფილი დამრიგებელი **გურამ ასპინძელაშვილი** და მისი კოლეგა თბილისის „დინამოს“ აკადემიიდან **ბორის გონჩაროვი.**

გიორგი ზოთაძე

◎ ევრო-2022

ვიწყებთ პარიზში...

დღეს ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილი საქართველოს ფუტსალის ნაკრები პარიზში მიემგზავრება, სადაც ზეგ თბილისის დროით 22 საათზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სასტარტო შეხვედრას მასპინძლებთან გამართავს.

აღნიშნული რაუნდის წილისყრა შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში 2 სექტემბერს მოეწყო და ფრანგებთან ერთად ჩვენს ჯგუფში რუსეთი და ბულგარეთ-სომხეთის წყვილში გამარჯვებული მოხვდნენ. შემდეგი მატჩი გაისად 2 თებერვალს დედაქალაქის ახალ სპორტის სასახლეში სწორედ ჩრდილოელ მეზობლებთან უნდა ჩავატაროთ, ხოლო სულ შემდეგ წრეში გასასვლელად 6 ბრძოლა მოგვიწევს.

შეგახსენებთ, რომ კონტინენტური ფორუმის ფინალური ტურნირი 2022 წლის 9 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით ნიდერლანდებშია დანიშნული.

„ჯვაროსნებმა“ საპასუხისმგებლო გამოცდის ჩასაბარებლად დასკვნითი მოსამზადებელი შეკრება 2 დეკემბერს დაიწყეს და, როგორც შევიტყვეთ, რამდენიმე ძლიერი ლეგიონერიც დაიმატეს, რომლებიც, ისევე, როგორც ძველი გვარდიის რამდენიმე წარმომადგენელი, გუნდს თამაშის წინ შეუერთდება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ „მწვანე კონტინენტზე“

რაღა დარჩა?..

მომავალი საჩოგბურთო სეზონის პირველი „დიდი სლემი“ — ავსტრალიის ღია ჩემპიონატი კალენდრის მიხედვით 18-31 იანვარს უნდა გამართულიყო და თანაც აღნიშნული ტურნირის საკვალიფიკაციო რაუნდის გაუქმების ვარიანტიც განიხილებოდა, მაგრამ, როგორც ყველაფერში, კორონავირუსის პანდემიამ კორექტივები დასახელებულ პროექტშიც შეიტანა.

კერძოდ, საბოლოოდ გაირკვა, რომ ელიტა მელბურნის კორტებზე ცოტა მოგვიანებით — 8 თებერვლიდან შეიკრიბება და „მწვანე კონტინენტის“ მოქმედი ჩემპიონების — სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩისა და რუსული ფესვების მქონე ამერიკელის — სოფია კენინის შესაძლო მემკვიდრეებსაც გამოავლენს.

თუმცა, სჯობს ასპარეზობის აღმასრულებელ დირექტორს კრეიგ ტილის მოვუსმინოთ: **„მოთამაშეები 15 იანვრიდან გაივლიან ორკვირიან კარანტინს, მაგრამ ვიქტორიის შტატის მთავრობა დათანხმდა განსაკუთრებულ პირობებს შეჯიბრების მონაწილეთათვის. კერძოდ, ამ პერიოდში მათ შეეძლებათ ვარჯიში.**

კარანტინის დროს პირობები მკაცრი იქნება, მაგრამ იზოლაციის შემდეგ ჩოგბურთელებს შეეძლებათ იცხოვრონ და იარონ იქ, სადაც მოესურვებათ, ითამაშონ სპარინგები და შემდეგ დიდი რაოდენობით პუბლიკის წინაშე გამოვიდნენ სარბიელზე“.

ბეჟან დოლიძე



სანთელი

ზურაბ გოგოხია

ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა — გარდაიცვალა ზურაბ გოგოხია, კაცი, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება შეალია მოყვასისადმი, მეგობრებისადმი გვერდით დგომას, მათი ლხინისა და ჭირის გაზიარებას.

ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, ბოჰემური ცხოვრების მოყვარული, საქმის პროფესიონალი — სწორედ ამ თვისებებით გამოირჩეოდა ყველასგან და გარშემომყოფთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მართლაც კოლორიტული პიროვნება გახლდათ.

ძნელია შეეგუო ამგვარი ღირსეული ადამიანის გარდაცვალებას. მისი ამქვეყნიური ცხოვრება მართლაც სამაგალითო იყო. იგი დააკლდა თავის დიდ ოჯახს, სანათესაოსა და უამრავ მეგობარს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ზურაბ გოგოხიას სული.

ოთარ ფაცაცია, რეზო ამაშუკელი, ბონდო ჯიქია, ავთანდილ ჯორბენაძე, შალვა მგალობლიშვილი, დემურ გადელია, იური გუგუჩია

რეზო ამაშუკელი უდიდესი გულისტკივილით იუწყება ახლობელი ადამიანის, საზოგადოების გამორჩეული წევრის

ზურაბ გოგოხიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

სვეტლანა, შალვა მგალობლიშვილები ოჯახით იუწყებიან მეგობრის, ღირსეული პიროვნების

ზურაბ გოგოხიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ნოდარ ხასაია, ბადრი ბარკალაია, ავთო ბესელია, ტარიელ დგებუაძე, მალხაზ საჯაია, სოსო დგებუაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, კოლორიტული პიროვნების

ზური კირილეს ძე გოგოხიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, გურამ გუნავა, იური გუგუჩია, იგორ ქობალია, მურმან ნაჭყებია, კარლო ვეკუა, თამაზ ცანავა, გოგი სოსელია, ვაჟა ფიფია დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყვედასათვის საყთარელი კაცი, ზუგდიდისა და ჩვენ კუთხის კოლორიტი პიროვნება, ჩვენი განუყრელი მეგობარი

ზურაბ კირილეს ძე გოგოხია

და მწუხარებაში თანაუგრძნობენ ოჯახს, ნათესაობას და მრავალრიცხოვან სამეგობროს

სულთათანა

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ობსერვატორიის ყოფილი თანამშრომელი

რემა ჟვანია

ქალბატონი რემა შთაგონებით და ინტერესით ემსახურებოდა მეცნიერებას. იგი მუდამ გამორჩეული იყო თავისი მოკრძალებით, კეთილშობილებით და ახალგაზრდებისადმი დედობრივი ზრუნვით. მის ირგვლივ ბუნებრივად იქმნებოდა თბილი, ადამიანური ატმოსფერო. ამავე დროს, ქალბატონი რემა იყო ოჯახის ამაგდარი, თავდადებული დედა და ბებია. შვილიშვილებზე ფიქრი და ზრუნვა აძლევდა ძალას გამკლავებოდა უდიდეს ტკივილს, რომელსაც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ატარებდა.

ქალბატონი რემას სახე რჩება ჩვენთან, როგორც კეთილშობილების ეტალონი, რომელიც მოგვიხმობს ადამიანური ღირსებების შენარჩუნებას ყველგან და ყოველთვის.

ხსოვნა

ზაირა ღლონტი

8 ნოემბერი თქვენი დაბადების დღე იყო, ზაირა მასწ.

ტრადიციისამებრ, წელსაც დაგირეკეთ მოსალოცად და... სჯობდა, არ დაგვერეკა: როგორც შევიტყვეთ, თურმე ერთი თვის გარდაცვლილი ყოფილხართ.

მართალია, მათემატიკოსი ბრძანდებოდით, მაგრამ, უპირველესად, ადამიანურ სითბოს გვიწილადებდით და პასუხისმგებლობის გრძნობას, უფროსთა პატივისცემასა და სამშობლოს სიყვარულს გვინერგავდით. ალბათ, თქვენმა ამაგმა გაგვალექსინა: „**აპვადრატი, ბეკვადრატი, აძვანილი კუბში, ზაირა თძვენი ფორმულები ნაზად შეგვდის ყურში**“.

გვიბრაზდებოდით კიდევაც, მაგრამ თქვენს აწეულ ტონშიც მომავალი თაობისადმი თაყვანისცემა იკითხებოდა. აღარაფერს ვამბობთ გამორჩეულ, სიკეთის მთესველ ბუბუნა ხმაზე, მხოლოდ პედაგოგებს რომ ამკობთ.

ამქვეყნიური ყოფის დაისზე ჯანმრთელობამ გიმუხთლათ, თუმცა, სარეცელს მიჯაჭვულიც, სამაგალითოდ აფრთიანებდით თქვენი და პროფესორ-ფილოსოფოსის გენო ცინცაძის ოჯახური კერიიდან აფრენილ ბარტყებს.

დიახ, სიცოცხლე გრძელდება, მაგრამ ჩვენს გულებში სამუდამო იარად დაგვრჩება, პანდემიის გამო ღირსეულად რომ ვერ გამოგეთხოვეთ.

გვაპატიეთ, მასწ!..

მადლიერი 57-ე სკოლელები

ახალციხეში კორონავირუსით 2 ექიმი გარდაიცვალა

ამის შესახებ ინფორმაცია ახალციხის ცხელების ცენტრის კლინიკურმა მენეჯერმა მზია კაკოშვილმა დაადასტურა. მისი თქმით, ექიმები მუშაობდნენ როგორც ახალციხის რეფერალურ საავადმყოფოში, ასევე, ცხელების ცენტრში.

„ერთი ექიმი გუშინწინ გარდაიცვალა, ხოლო მეორე — გუშინ. თითქმის ორი თვე მკურნალობდნენ კორონავირუსზე და დადასტურების დღიდან თბილისის კოვიდ-კლინიკებში იყვნენ გადაყვანილები“, — განაცხადა კაკოშვილმა.

გუშინ საქართველოში კორონავირუსის 4321 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. გარდაიცვალა კიდევ 42 ადამიანი, ხოლო გამოჯანმრთელდა — 4301.

საქართველოს ნატოში გაწევრება შეიძლება მოხდეს საკმაოდ მოულოდნელად და სწრაფადაც კი!..

(მესამე გვერდიდან)

დღეს საქართველო ბევრად უფრო მნიშვნელოვანია რეგიონისთვის ბევრი მიზეზის გამო, როგორც სტრატეგიული მოკავშირე, ვიდრე იმ 90-იან წლებში. ამიტომ გასაგებია, რომ მასზე ყურადღება გამახვილდა. საქართველომაც გადადგა ნაბიჯები მრავალი მიმართულებით. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, — ეს უბრალო ფრაზა არ არის.

დიდი ხანია, ვამბობ, რომ ეს მოვლენა შეიძლება მოხდეს საკმაოდ მოულოდნელად და სწრაფადაც კი. მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, როგორი ვითარება იქნება მსოფლიოში, ასევე ევროატლანტიკურ არეალში და რა მდგომარეობა იქნება იმ დროისთვის საქართველოში.

ჩვენთვის მთავარია საჭირო დროს და საჭირო ადგილზე აღმოჩნდეს საქართველო და მათ შორის საჭირო ფორმაში. ამის გარანტიის მომცემი არის მუდმივი მზადყოფნა იმისათვის, რომ თუ დაისმება საკითხი მოკავშირეთა მიერ და ერთსულოვნად თქვეს, რომ საქართველო ღირსია, და იგი ნატოში უნდა იქნეს მიღებული, ეს ნატოს ინტერესებშია. როგორც კი ეს მომენტი დადგება, საქართველო მაშინვე გახდება ნატოს წევრი, — განაცხადა ირაკლი მენაღარიშვილმა.

* * *

ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **სოსო ცინცაძე** აცხადებს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრების

პერსპექტივა შორეულია და მხოლოდ დაპირებები ისმის. მისივე თქმით, წლების შემდეგ, შესაძლოა, ალიანსმა მნიშვნელობა დაკარგოს და საქართველოსთვის ისეთივე საჭირო აღარ იყოს, როგორც დღეს არის.

— გადამდგარი გენერლები მკერდში მჯიღს ირტყამენ და იძახიან, რომ საქართველო თავის დროზე უნდა მიგველო, მაგრამ ეს ყველაფერი მათ ხელში არ იყო მაშინ?! 90-იან წლებში, როდესაც რუსეთს ხმის ამოღება არ შეეძლო. მაშინ, როდესაც შევარდნაძემ პირველად თქვა, ნატოს კარზე მივუკაკუნეთო. მაშინ ნატომ გვითხრა, რომ თქვენთან დემოკრატია არ არის. მაშინ დასავლეთში არავინ გამოჩნდა, რომელიც იტყოდა, რომ, როდესაც 1952 წელს თურქეთი ნატოში მიიღეს, რომელი დემოკრატია იყო მაშინ თურქეთში?!

მიღწევად თვლიან იმას, რომ ოდესღაც საქართველო გახდება ნატოს წევრი. ოდესღაც საქართველოს დასჭირდება ნატოს წევრობა?! — ეს მუდმივი არ არის ისევე, როგორც დედამიწა ბრუნავს. შეიძლება 20-30 წლის შემდეგ საერთოდ არ დაჭირდეს საქართველოს ნატოს წევრობა და რუსეთიდან არავითარი საფრთხე აღარ ემუქრებოდეს. არ ვიცით, რუსეთი რა გზით წავა და პუტინის შემდგომი რუსეთი როგორი იქნება. ნატოში გაწევრება ჯერჯერობით გამორიცხულია. ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულება საკმარისი იქნებოდა. სიმბოლურად, ერთი-ორი სამხედრო ბაზა რომ იყოს განთავსებული საქართველოში, ეს იქნებოდა აბსოლუტურად მისაღები ჩვენთვის. ნატო მაინც არ მიგვიღებს, ჩვენ საგარეო საქმეთა სამინისტროს ვერ დავაბრალებთ, სუსტია და ამიტომ არ გვღებულობენო. ჩვენს პოლიტიკურ ელიტას შეუძლია კარები აუტალახოს აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას, ბაიდენს, რომელიც მეტი ყურადღებით გამოირჩევა, ვიდრე დონალდ ტრამპი. სამხედრო ვალდებულებაა საჭირო, რომელიც შეაჩერებს რუსეთს და ბორდერიზაციას, შეაჩერებს აგრესიას!

თუ ჩვენთან იქნება აშშ-ის სამხედრო ბაზები, მშვიდად შეგვიძლია დაველოდოთ, როდის გაგვიხსნიან ნატოს კარებს. ამერიკელ ჯარისკაცს რუსეთი არასდროს ესვრის საქართველოში თუ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. ღმერთმა ნუ ქნას, საქმეში გამოცადოთ, როგორია ჩვენი არმია. 2008 წელს გამოვცადეთ და ვნახეთ შედეგი, — განაცხადა სოსო ცინცაძემ.

მოამზადა
ნიკო ჩოხელმა

ნოქალაქევი მზესავით გამობრწყინდება...

ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის განახლებისა და ინფრასტრუქტურული მოწყობის სამუშაო გრძელდება, რომლის დასრულებაც 2021 წელსაა დაგეგმილი. გასული 4 წლის განმავლობაში, ერთიანი საგენტოს დაკვეთით წარმართულმა სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო ეტაპებმა ნოქალაქევის ქვედა ნაქალაქარის ყველა არქიტექტურული სეგმენტი მოიცვა, რაც საიდუმლო გვირაბის, ეიფელის კონსტრუქციის რკინის ხიდის, საფორტიფიკაციო ნაგებობების, სასახლეების, სამეფო აბანოებისა და უნიკალური წყალსაცავის სრულ კონსერვაციას ითვალისწინებდა.

კომპლექსზე დასრულდა ორმოც მოწამეთა სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობისა და ფასადის საკონსერვაციო სამუშაო, რომელიც სამხატვრო აკადემიის მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფმა განახორციელა. ტაძრის სახურავი საქართველოში სპეციალური წესით დამზადებული კრამიტით შეიცვალა, რომლის ავთენტური ფორმის განსაზღვრაც არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი უძველესი კრამიტის შედეგად გახდა შესაძლებელი.

თანამედროვე კონსტრუქციული ჩანართებით აღდგა კომპლექსის ისტორიული მარანი, რომელიც ახლო მომავლიდან საგანმანათლებლო-შემეცნებით სივრცედ ჩამოყალიბდება. დაიწყო ნაქალაქარის ფერდობისა და ციტადელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც გაწმენდითი და არქეოლოგიური შესწავლის პროცესის შემდეგ,კონსერვირდა არქიტექტურული ფრაგმენტები.

უკვე დასრულდა ნაქალაქარის მთავარი გალავნისა და ციტადელის შემაერთებელი საფეხმავლო ბილიკის კეთილმოწყობის სამუშაოები. დასრულების ფაზაშია ქვედა ნაქალაქარის ინფრასტრუქტურული პროექტი. მოეწყო სავალი ბილიკები, საპირფარეშოები, წყალმომარაგების, განათებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები. არქიტექტურული კომპლექსი აღიჭურვა საინფორმაციო ბანერებით. კეთილმოეწყო ავტოსაპარკინგე სივრცე.

ნაქალაქარის არეალებზე დამონტაჟდა მხატვრული განათების სისტემა, რომლითაც ფასადები ეფექტურად წარმოჩინდა. ისტორიული კონტექსტის რეკონსტრუქციისთვის ნაქალაქარის ტერიტორიაზე განთავსდა ანტიკური პერიოდის მეომართა ლითონის ბადისაგან დამზადებული საიმიტაციო ფიგურები და ხის კონსტრუქციის საბრძოლო მანქანები, რომლებიც უკვე იქცა ტურისტულ ატრაქციად.

2016 წელს დაწყებულ კომპლექსურ სამუშაოებს სრულად აფინანსებს საქართველოს მთავრობა. მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაციისთვის სააგენტოს პროგრამული ბიუჯეტიდან ჯამში 14 მილიონ ლარზე მეტი თანხაა გათვალისწინებული.



კახი კავსაძემ კორონას სძლია

ყველასთვის საყვარელი არტისტის კახი კავსაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე გაუმჯობესებულია. ამის შესახებ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორმა ლევან რატიანმა განაცხადა. მისივე თქმით, კლინიკური პარამეტრები გაუმჯობესდა და შესაძლოა, მსახიობი თერაპიულ განყოფილებაში გადაიყვანონ.

2021 წელი - ჰუმანიტარული კრიზისის პირისპირ

„გაეროს მსოფლიო საკვების პროგრამის“ ხელმძღვანელის დევის ბიზლის განცხადებით, 2021 წელი ბოლო 75 წლის მანძილზე ყველაზე რთული და მძიმე იქნება. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიოში არსებული შეიარაღებული კონფლიქტებისა და პანდემიის გამო, იმ ადამიანთა რიცხვი, რომელიც შიმშილის ზღვარზეა, 80 მილიონიდან 270 მილიონ ადამიანამდე გაიზარდა!

ორგანიზაციამ უკვე დახარჯა 19 ტრილიონი დოლარი და დიდი ალბათობით, მომავალ წელს ამ თანხის აკუმულირება ვეღარ მოხერხდება. ძალიან დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო, რომ ეს თანხები შეგროვდეს, წინაღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო ჰუმანიტარული კრიზისის წინაშე აღმოჩნდება.

ანიმაციიდან რეალობამდე

ამერიკელმა ილუზიონისტმა დევის ბლეინმა წარმოუდგენელ ოცნებას შეასხა ფრთები. მან შეძლო საჰაერო ბუშტების დახმარებით ეფრინა ცაში. ცნობილ შოუმენს ფრენის სურვილი ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ანიმაციის „მაღლა“ ნახვის შემდეგ გაუჩნდა. ამ მულტფილმის მოხუცი გმირი სწორედ საჰაერო ბუშტების დახმარებით შეძლებს საკუთარი სახლის თავზე, ცაში აფრენას და ოცნების ასრულებას.

ეს იდეა თავდაპირველად წარმოუდგენელი ჩანდა, თუმცა ბევრი ძალისხმევისა და მონდომების შემდეგ, დევიდ ბლეინი 7 კილომეტრის სიმაღლეზე მაინც აფრინდა. ეს საოცარი სანახაობა პირდაპირ გადაიცემოდა ინტერნეტით „YouTube“ არხზე და მას რეკორდული რაოდენობის ცნობისმოყვარე ადევნებდა თვალყურს. მთავარია, ადამიანმა მოინდომოს და თურმე ყველა მიზნის მიღწევა შესაძლებელი ყოფილა.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

მეცნიერებმა სიცოცხლის 10 წლით გახანგრძლივების 4 „ოქროს წესი“ დაასახელეს

ამერიკელმა მეცნიერებმა სიცოცხლის ათი წლით გახანგრძლივების რამდენიმე წესი დაასახელეს. კვლევა აშშ-ის მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

ექსპერტებმა შეისწავლეს ევროპის 11 ქვეყანაში მცხოვრები 1507 კაცისა და 832 ქალის ცხოვრების წესი და გარდაცვალების მიზეზები (1988-დან 2000 წ.)... ბოლოს დაასკვნეს, რომ ჯანსაღი კვება, ნერვიულობისა და სტრესის გარეშე ცხოვრება, ნიკოტინზე უარის თქმა და ალკოჰოლის ზომიერი მოხმარება ადამიანის სიცოცხლეს დაახლოებით, ათი წლით ახანგრძლივებს.

მკვლევარები ადამიანებს ხმელთაშუაზღვის დიეტის დაცვას ურჩევენ, რადგან ის მდიდარია ხილით, ბოსტნეულით და მარცვლეულით, ამცირებს გულსისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების, მეტაბოლური სინდრომისა და ტვინის ფუნქციის დაქვეითების რისკს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სიგარეტზე უარის თქმა და ალკოჰოლის ზომიერად მოხმარება სიკვდილის რისკს 17-18 პროცენტით ამცირებს. ასევე დადებითად მოქმედებს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე სტრესის ნაკლებობა. მკვლევარების აზრით, ბედნიერ ადამიანებში ნაადრევი სიკვდილის რისკი თითქმის ოთხი პროცენტით ნაკლებია.



მანამდე ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ხუთი წლის განმავლობაში ინტენსიური ვარჯიში ჯანმრთელობის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და დაბერების შენელების ეფექტური გზაა. პროგრამაში მონაწილეობდა 70-77 წლის დაახლოებით შვიდი ათასი მოხალისე.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 9 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3115; ევრო - 4.0304;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4540;
100 რუბლი - 4.4551; თურქული ლირა - 0.4259;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9479;
1000 სომხური დრამი - 6.4836.

ამინდი 7 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+5
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+11
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+3

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge